ზაზა ბურჭულაძე

ფრიზრამა

მოთხრობები

სიესტა
თბილისი
2008

გამომცემელი: ქეთევან კილურაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ჯგუფი სიესტა

© ზაზა ბურჭულაძე, 2008

© გამომცემლობა „სიესტა“, 2008

გამოცემულია 2008, თბილისი

ISBN 978-9941-9051-8-6

გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge

passive attack 7
ფონოგრამა 53
შვიდი ბრძენი 83

passive attack

მე ნაცნობი მყავს ანგელოზებს შორის.

ფრანც კაფკა, “ამერიკა”

1.

მე ჰარის მეძახიან, ბინძურ ჰარის. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუნდაც ბინძური ღორი დამიძახონ. რა მენაღვლება? მთავარია, ანა ჩემთანაა, ჩემ ძუძუთა შორის განისვენებს. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალემისა, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცებთ, არ გააღვიძოთ.

ჭეშმარიტად გეუბნებით: სულ ცოტა ხნის წინ სრულიად სხვა აზრის ვიყავი საკუთარ თავზე. კერძოდ, მეგონა, რომ ჩემი დანიშნულება თბილი რძის სმა და ძილის წინ ელეგიების წერა იყო მხოლოდ, მაგრამ რაც განგებამ ანას შემახვედრა, მივხვდი, ვცდებოდი. რა დასამალია და, სწორედ მან მითხრა ერთხელ: "იცი, ჰარის გავხარ, ბინძურ ჰარის".

აჰა, ბინძური ჰარის სარეცელი: სამოცი ძლიერი ასული მის გარშემოა, ძლიერთაგან ისრაელისა. მერე რა, რომ საწოლი იწროა. შეყვარებულთ ხომ ცულის ტარზეც დაუძინიათ. ჰოდა, გვძინავს კიდეც. უფრო სწორად, ანას ძინავს. გაფიცებთ თქვენ, ასულნო იერუსალემისა, არ გააღვიძოთ. კიდევ გაფიცებთ, გამამაგრეთ ღვინით, გამაგრილეთ ვაშლებით, რადგან დავსნეულდი სიყვარულისგან.

ნუთუ არ გაინტერესებთ, ვინაა ეს ანა, ვისი მარცხენაც ახლა თავქვეშ მიდევს და ვისი მარჯვენაც წელზე მეხვევა და ვის გამოც ამ ღამის თეთრად გათენებას ვაპირებ? მაშ, გამორთეთ თქვენი მობილურები, უფრო ახლოს მოიწიეთ ჩემთან და მე გიამბობთ მის შესახებ ყველაფერს, რაც საამბობია. მთავარია, არ იხმაუროთ და არ გააღვიძოთ. კარგად დააკვირდით, ის ხომ იმისთვის მოვიდა ამქვეყნად, რომ იძინოს; მე კი მარადი სიფხიზლისთვის ვარ შობილი. ნურავის ეგონება, რომ ჩემი დანიშნულება თბილ საწოლში ნებივრობაა მხოლოდ.

მართალია, იყო დრო, როცა მცხეთელ საბედას ქადაგებას მთელი ტაძარი სულგანაბული უსმენდა, ჰეგესია მაგნესიელს კი

ისეთი სუსხიანი სიტყვა ქონდა, რომ ხანძარს აქრობდა, ხოლო კრეტელი თალესის ლექსებში ისეთი მომხიბლავი ძალა იყო ჩაქსოვილი, რომ მსმენელს ძალაუნებურად ლმობიერება ეუფლებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სპარტელთა საგმირო სიმღერებზე, და ა.შ., და ა.შ. ისიც მართალია, რომ ჩემს სიტყვას ძაღლიც არ ენდობა, და მაინც, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და ყურადღებით მომისმინოთ. შეიძლება ახალს ან საგულისკოვზეს ბევრს არაფერს, მაგრამ ისე, ცნობისათვის მაინც გეტყვით, რომ ღამის გათენებაში არა სპორტულ ასპარეზობას ან რაიმე სახის შეჯიბრს გამძლეობასა და ამტანობაზე, არამედ ცოტა სხვა რამეს ვგულისხმობ, კერძოდ – ხატვას (ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). ანუ ვგულისხმობ იმ შინაგანი სამუშაოს ჩატარებას, რომელიც სიცოცხლისთვისაა აუცილებელი და რომელსაც ასრულებს ყველა, ვინც ცხოვრობს. მე კი, თუ აქამდე არ მიცხოვრია სრული ცხოვრებით, მინდა ახლა მაინც ვიცხოვრო. და რა მნიშვენელობა აქვს, ვინ ვარ მე, უფლისწული თუ მათხოვარი, ვერავინ აუკრძალავს ბინძურ ჰარის ამ ღამით

ხატვას ანუ წადილის, ტანჯვის, სიყვარულისა და სიძულვილის აუცილებლობას. დამატებით გთხოვთ, მომიტევოთ და აქედანვე შემინდოთ თუ ზოგჯერ, მიუხედავად ჩემი სიბეჯითისა, სწორად ვერ მითარგმნია ზოგიერთი სიტყვა, რაც ჩემი გამოუცდელობის ბრალი უფრო იქნება, ვიდრე წინდაუხედაობისა.

2.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ, რაც განგებამ ანას შემახვედრა, ბევრი რამ შეიცვალა ჩემში, და აქედან გამომდინარე – ჩემს გარშემო დაკრისტალებულ ფანტომებშიც... მეტი თვალსაჩინოებისთვის ერთ მაგალითს მოვიტან, გახსოვთ ალბათ "ტერმინატორი-2" – პატარა ნამსხვრევებად დაშლილი კიბორგი *T-1000* საჭირო მომენტში როგორ ერთდება და ტრანსფორმირდება. ვიცი, პათეტიკა და რიტორიკა იქით იყოს, ყველაფერი ერთობ ფანტასტიკურად ჟღერს და ზღაპარს უფრო ჰგავს, მაგრამ, ვბედავ დაგარწმუნოთ, რომ ეს მშრალი ქრონიკაა და არა მოჭორილი ამბავი, ანუ, ზუსტად თუ არა, დაახლოებით ასეთი

რამ დაემართა ჩემს ტვინს: თითქოს დაიშ-ალა და კვლავ შეერთდა, ოღონდ ეგაა, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი შეიცვა-ლა... ასე რატომ მიყურებთ? თავიდან არც მე მჯეროდა, თუმცა, რაც დროს გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ასეა. მართალია, ჩემი ფასეულობათა სისტემა სხვა თარგზე არ გამოჭრილა, მაგრამ ტვინის დაშლა-შეერთე-ბის პროცესში გამოჩნდა, რომ თურმე აქამდე მკაცრად შემოსაზღვრულ და იზოლირებულ სისტემაში ან, თუ გნებავთ, უფრო გრანდიო-ზული სიტყვა გამოვიყენოთ, სამყაროში ვი-დექი, რომელიც არც ფართოვდებოდა, არც ღრმავდებოდა; თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს აბსტრაქტული სამყარო იყო, ბინძური ჰარი კი ამ სისტემაში დაკიდული უსიცოცხლო სქემა გახლდათ... მოკლედ, რაღაც რეაქცია მოხდა. ხომ ცნობილია, რომ ამიაკ NH_3 სპი-ლენძის სულფატზე $CuSO_4$ მოქმედებისას შედეგად ვღებულობთ $[Cu(NH_3)_4]SO_4$. იმე-დია მაპატიებთ ამ პლაკატურ ფორმულას, ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ანამაც თითქმის ასე იმოქმედა ჩემს ტვინზე. შეიძ-ლება თქვენ ეს ძნელად გეჯერებათ, თუმცა დამაჯერებლობა ყოველთვის როდია სიმართ-

ლის მხარეზე. და თუ ამ მაგალითებიდან არ-
ცერთი მოგდით თვალში, მაშინ... ერთხელ
მაინც გექნებათ სადმე მეტროში, გაზეთში
ან ჟურნალში ნანახი თმის გადანერგვის ან
სიმსუქნის საწინააღმდეგო რომელიმე პრე-
პარატის რეკლამა: მარცხენა ფოტოს თავზე
ყოველთვის წერია "მანამდე", მარჯვენაზე კი
"შემდეგ". (ისე, საკითხავია, ნუთუ არცერთ
ნარკოდილერს არ მოსვლია აზრად, რომ
Ecstasy ასპირინივით შეეფუთა? კარგი სანახა-
ვი იქნებოდა კოლოფზე ორი ფოტო: *Before* და
After, მარცხენაზე – ვინმე ჰასლტუხიანი გაუ-
ბედავად მოღიმარი ბიურგერი, მარჯვენაზე –
იგივე ბიურგერი, ოღონდ უკვე თვალებგაფ-
ართოებული და კრიჭაშეკრული, და, რა თქმა
უნდა, სრულიად უჰალსტუხოდ.) რა ბევრი
გავაგრძელოთ, ანას შემდეგ არც იდუმალე-
ბათა სამყაროში მისკუპია როგორც ალისას,
არც საკუთარი თავი ამომითრევია ჭაობიდან
თმით ჩემივე ცხენიანად, აღარც რომის პაპი
ქცეულა საშინელ მწერად და აღარც მე დამი-
წყია კვერცხის დება, რომ აღარაფერი ვთქვათ
თმის ამოსვლასა და ჭარბი წონის მოცილე-
ბაზე, ანუ შავი ისევე შავად დარჩა და თე-
თრი თეთრად, და, ორჯერ ორი ისევ ოთხია,

ოლონდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვანაირი ოთხი, მოცემულ შემთხვევაში ცოტა სხვაგვარ ცვლილებას ვგულისხმობ (შეიძლება კუსტურიცა დიდი ვერაფერი ავტორიტეტია, მაგრამ ეს აქ არაა მთავარი. მთავარია, *Arizona Dream* თუ გაქვთ ნანახი. ჰოდა, თუ გაქვთ, მაშინ ის ეპიზოდიც გეხსომებათ, როცა ვინსენ გალოსა და ჯონი დეპის გმირები რესტორანში სხედან და რაღაც იდიოტობაზე კამათობენ. პირველი ამბობს, ჰოლივუდში რომ მოვხვდები, სულ შავებს ჩავიცვამო. მეორე ეუბნება, შენ ახლაც შავები გაცვიაო. რაზეც პირველი პასუხობს, კი, მაგრამ ის *სხვანაირი* შავი იქნებაო). ისე, პირიქით უფრო მოხდება, უმალ მე ვიქცევი საშინელ მწერად და რომის პაპი კვერცხს დადებს, ვიდრე მზისქვეშეთში რამე შეიცვლება. ჩემი მოკლე ჭკუით, ალბათ უფრო ის ინდივიდუალური განცდების სინგულარული კუთხე შეიცვლა, საიდანაც აქამდე ვიყურებოდი. ადვილი სათქმელია, რომ ეს კუთხე ანამ შემაცვლევინა და კიდევ უფრო ადვილია ამის უარყოფა. ამიტომ არაფერს დავამტკიცებ და არაფერს უარვყოფ და, როგორც დაგპირდით, მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც საამბობია.

3.

30 წელია ვაკეში, IX ბავშვთა პოლიკლინიკის ეზოში ვცხოვრობ და საკუთარი აივნიდან გუშინ პირველად შევამჩნიე კორპუსის პირდაპირ აღმართული მთა. შევამჩნიე კი არა, უპრიანია ითქვას, პირველად დავაკვირდი: მარცხნივ ფუნიკულიორია, თავისი დისკოთეკასავით მოციმციმე სატელევიზიო ანძით, მარცხნივ კუს ტბა – საბაგირო გზის ზედა გაჩერებითა და სვანური კოშკით. მთა თითქოს გიგანტურ ტალღას, ქვის ცუნამის გავს, ქალაქზე გადმოკიდებულს... უფრო სწორად, აზვირთებული ტალღის გადიდებულ ფოტოსურათს, რომელიც თბილისის ერთ მხარეს კედელივით აღმართეს ან, თუ გნებავთ, უზარმაზარი ბილბორდივით გაჭიმეს.

ძვირფასო ასულნო, ახლა ღამეა და არ ჩანს, თუმცა, მერწმუნეთ, მთელი მთა ნაძვნარითაა დაფარული. მთის შუაში, ნაძვებსშორის, ერთი მოტიტვლებული ადგილია, როგორც კაცის მელოტი კინჩხი, სადაც პატარა, ძალიან პატარა, მოწყენილი და ლამაზი ეკლესია დგას, რომელიც თურმე ისე ყოფილა მთის მორუხო-მომწვანოს შერწყმული, რომ

თავიდან ლამის ვერც შევნიშნე. ისე, რა გასაკვირია, 30 წელი მთას ვერ ვხედავდი და ეკლესია როგორ უნდა შემემჩნია. განა ვის შეუნიშნავს თივის ზვინში ქინძისთავი? ცხადია, აქ ფილოსოფოსებს არ ვგულისხმობ, რამეთუ ისინი არა მარტო იმას ამჩნევენ, რასაც ხედავენ, არამედ იმასაც, – და ამ უკანასკნელთ ხომ მთლად შესაშური სიცხადით – რასაც ბუნებაში არასოდეს უარსებია. ვისა აქვსო, – სწორად გინდათუარაობდა ერთი ლოგიკოსი იმპერატორი, – ისე მახვილი მზერა, რომ ამ წყვდიადში ერთხელაც არ წაიფორხილოსო? თუმცა მივუბრუნდეთ მთავარს. ხედავთ, ასულნო, მთის შუაგულში პატარა წერტილი რომ ციმციმებს? ეგ იმ საყდრის სარკმელში მბჟუტავი სანთელი ან კანდელი უნდა იყოს. იქიდან მთელი თბილისი ალბათ ხელისგულივით ჩანს, მაგრამ, მგონი, თვითონ ქალაქიდან ეკლესია თვალშეუდგამია. თუმცა 100% თავს ვერ დავდებ, რამდენადაც შეიძლება მხოლოდ ჩემთვის რჩებოდა უცნობი და უხილავი, მაშინ როცა ის, ყველა თუ არა, ცხრა მეათედი თბილისელისთვის მაინც, ისეთივე ნაცნობი და ხილული იყო და არი, როგორც მთვარე ან ჰამბურგერი.

როგორც ჩანს, ღვთისმსახურებას ერთი ხმელი და მაღალი მამა ატარებს. დღისით ვნახე, ეზოში დაფუსფუსებდა: ხან საყდარზე მიდგმული ტენტით გადახურული ფიცრულიდან ეზიდებოდა შეშას, ხან მიწას ჩორკნიდა ბარით და ფოცხით – ფიცრულის გვერდით სახელდახელოდ პატარა ბოსტანი აქვს გაკეთებული. ისე, რა ეზო, ღობეც კი არა აქვს საყდარს მოვლებული. თვალმა თუ არ მომატყუა, მამას სელისფერი თხელი თმა უკან ქონდა გადაყრილი, ზურგიდან კი ქალს ჩამოჰგავდა სუსტი მხრებით. ასე ორმოცდაათს მიტანებული უნდა იყოს, და მაინც, რატომღაც დებიუსის "სელისფერთმიანი გოგონა" მომაგონდა. პატიოსანი კაცი კი ჩანს, მაგრამ, რა ვიცი, იქნებ ვცდები კიდეც. იქნებ დიდი წუწკი და გაიძვერა ვინმეა, იქნებ ისეთი საზიზღარი და საზარელი რამ აქვს თავის დროზე ჩადენილი, რომ ახლა ასე გაუდაბნოებული მარტოობაში ეძებს სულისა და ხორცის ხსნას და შიმშილითა და მარხვით იმჭლევებს სხეულს. რა ვიცი, იქნებ გადაუტრიალდა თავში რაღაც და საკუთარი დედა ცოლად დაისვა და ღვიძლი შვილისგან კატლეტი გააკეთა? იქნებ პატიოსანი კი არა, ყიამყრალი და დიდი გაი-

ძვერა ვინმეა, შეიძლება, წმინდა ქალწულის ხილაბანდიც უდევს სარტყელში და მიძინების დროინდელი ზეწრის ნაგლეჯიც; ჯვარი კი მოზრდილ ყუთში უდევს თვლით მოჭედილი და იქვე უდევს გოჭის ბარკალიც და ყოჩის კოჭებიც. ანდა პირიქით, შეიძლება სალოსია, ცოცხალი სასწაული, ტრედისებრ უმანკო და გვრიტისებრ უბინო, ხომ შეიძლება, რომ ყოველ დილით ღვინოდ აქცევს წყაროს წყალს და ნაცარს ნალვერდლად და ქვეყნის გლახას შიშველ ქვაზეც დაასახლებს, ა? რა ვიცი, შეიძლება არც არი ასე და მე ვახურებ. ერთი ის ვიცი, რომ როცა ის საყდართან დაფუსფუსებდა, უკან შავი საფრთხობელა დაყვებოდა: ცხენივით მაღალი და საოცრად გამხდარი ძაღლი. რომელიც ისე უცნაურად ატოკებდა უგრძეს ბოლოს, გეგონებოდათ, ძაღლი კუდს კი არა, კუდი აქნევსო ძაღლს. არ გამიკვირდება, რომ მითხრათ, ის ძაღლიშვილიც მარხვას ინახავს და წვიმის წყლითა და ხმელა პურით გადადისო იოლას.

თუმცა ჭირსაც წაუღია ერთიც, მეორეც და მესამეც, მოცემულ შემთხვევაში სხვა რამეა საინტერესო. კერძოდ, რომ არა ანა, როგორ ფიქრობთ, ასულნო იერუსალემისა,

დაინახავდა კი ბინძური ჰარი იმას, რასაც 30 წელი უყურებდა (რა მნიშვნელობა აქვს, კერძოდ – რას) და ვერ ხედავდა.

4.

მერე რა, რომ ანას პრუსტი და ჯოისი არა აქვს ჩაბულბულებული? მერე რა, რომ გრამი ჰაშიში ურჩევნია სკრიაბინის ყველა საფორტეპიანო სონატას ერთად აღებულს, სკრიაბინისვე შესრულებით? მერე რა, რომ როიალისტი როიალის ამწყობი გონია, ხოლო კინოლოგი – კინომცოდნე, ნაპოლეონი კი ნამცხვრის სახელი? მერე რა, რომ, მალესტას ბაზილიკა იქით იყოს, მოდილიანის "ანას პორტრეტიც" კი არა აქვს ნანახი, მით უფრო, რომ სწორედ "ანას" გავს გაჭრილი ვაშლივით? თუმცა, შეიძლება ნანახი აქვს, მაგრამ არ ახსოვს. მას ხომ ზღარბის მეხსიერება აქვს და ყველაფერი ყოველ 15 წუთში ავიწყდება. მერე რა!

მერე რა კი არა, რას არ მივცემდი, ყველაფრის დავიწყება რომ შემეძლოს, თუნდაც მეოთხედი წუთით... ან ძია ტობი ახლა აქ ყოფილიყო და თავისი ლილიბულერო წაე-

სტვინა! ისე, არც კოლუმბიურ კოკაინზე ვიტყოდი უარს... ორი მამალი თეთრი ზოლი და შესაყნოსად დახვეული ხუთასევროიანი. ჭეშმარიტად საოცარია, როცა დაუკვირდები, ფერთა რაზომ ფართე გამა აქვს ნარკოტიკს: თეთრი, შავი, მწვანე, რუხი, ყვითელი, გამჭვირვალე, ხაკისფერი, ყავისფერი, სელისფერი, ვარდისფერი, და ა.შ., და ა.შ. *United Colors of Drug*. თუმცა... სიტყვა გაგვექცა. მერე რა, თუ პრუსტი და ჯოისი ბავშვობაშივე სრულად ჩავაბულბულე და პალეოზოურ-მეზოზოურ-კაინოზოური ერებიდან მოყოლებული, ვიდრე გენურ ინჟინერიამდე და კომპიუტერულ ვირუსებამდე, იმავე სკრიაბინის სონატებისა და არისტოტელეს "მეტაფიზიკის" ჩათვლით, ყველაფერი შტუდირებით და სულ ძირისძირამდე ვიკვლიე? რომ აღარაფერი ვთქვათ ათასგვარი რითმების, ლოგარითმებისა და ალგორითმების კვლევაზე, თავის ელექტრონებიან-პროტონებიან-ნეიტრონებიანად. ამიტომაც არ მაქვს თავში სრული აჯაფსანდალი და დღემდე ამიტომაც არ მგონია, რომ მახინჯაურში მარტო მახინჯები ცხოვრობენ, ხოლო უფლისციხეში უფალია დამწყვდეული.

5.

თუმცა ისიც ხომ შეიძლება, რომ მართლა ვაჭარბებ და აქ ანა, ფანტასტიკა დაკა არაფერ შუაშია და ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სათვალის ბრალია.

საქმეც ისაა, რომ ცოტა ხნის წინ ერთმა ალალმა ოკულისტმა სათვალე გამომიწერა. ჯერ იყო და თმებში ჩამაფრინდა და ისე დაჟინებით მიყურა თვალებში, ვიფიქრე თუ მაჰიპნოზებს-მეთქი. მერე პლასტმასის მაშით თუ რაღაც ჯანდაბით ჩემი ქუთუთოები დაითრია და ისე ჯანიანად მისწი-მოსწია, თითქოს დათვის დასაჭერ ხაფანგს შლიდა. ასეთი შემოტევის შემდეგ, ცხადია, თვალები ცრემლით ამევსო. იმ ჩემი ცოდვით სავსემ ეს ცრემლები თავისი ხელის მადლს მიაწერა და კიდევ უფრო ბეჯითად განაგრძო საქმე – თვალში თავით ფეხებამდე შემიძვრა. მაგრამ რაღაც არ მოეწონა, რადგან ექვსჯერ მაინც გამოძვრა და უკანვე შებრუნდა, ხან ერთი იარაღი შექონდა თან, ხან – მეორე. რაც კი ხელსაწყო მოეძევებოდა, მგონი ყველა იქ შეზიდა ასე ნაწილ-ნაწილ. თან ყველაფერს ისე ბეჯითად და თამაშ-თამაშით აკეთებდა,

წუნს ვერ დაუდებდი. ბოლოს ისე შევეჩვიე მის აქეთ-იქით ძრომიალს, რომ, როცა შიგნით შეყოვნდა, ცოტა მეწყინა. არადა, იმდენხანს დაჰყო ჩემს თვალში და ისე ყურადღებით მითვალიერა ყოველი კუთხე-კუნჭული, ვიფიქრე, ესაა და, მთლად იქ ჩასახლებულ ჭინკებს თუ არა, იმათ კურკლს მაინც მიაგნებს-მეთქი. მერე ამოძვრა, ყველაფერი უკანვე ამოალაგა და ახლა წვრილი ფარანი ჩამანათა, მეშახტესავით შუბლზე რომ ქონდა დამაგრებული, ამის მერე დიდხანს ვერაფერს ვხედავდი. რაღაც სითხეც ჩამაწვეთა (ნაღდად ჯადო იყო); კედელზე სხვადასხვა ზომის ნაირფერი ასოები და გეომეტრიული ფიგურებიც მაკითხა – ფუტურისტების მანიფესტი იყო, მგონი. დაბოლოს, დაბრმავებას რომ აღარაფერი მაკლდა, ყოველი შემთხვევისთვის რაღაც უცნაური დანადგარითაც ჩამხედა, სათამაშო ორლულიან ქვემეხს, მიკროსკოპის მუტანტსა და ამოუცნობ მფრინავ ობიექტს ერთდროულად რომ ჩამოჰგავდა. რა აღარ დამიდგინა, მინუს ტრილიონიო, ასტიგმატიკაო, თვალის ბადურის ჩაშლაო, კუჭის აშლაო და ჯიგრის აწვაო... სხვაც ბევრი მითხრა, მაგრამ ყველაფერი აღარ მახსოვს. რა ბევ-

რი გავაგრძელო, ბოლოს ისეთი სქელმინიანი სათვალე მომარგო, რომ გავიხედე, კინაღამ სუნთქვა შემეკრა. ასეთი სათვალით საკუთარი კორპუსის წინ აღმართული მთა კი არა, ცხრა მთას იქით მოსასაქმებლად ჩაცუცქული და გაჭინთული ეშმაკის შუბლზე ნაოჭი რომ არ დაინახო, ის იქნება საკვირველი.

ახლა, როცა ყველაფერი შეუფარავად და შეულამაზებლად გადმოგეცით, ასულნო იერუსალემისა, როგორ ფიქრობთ, ვისთან – ანასთან თუ ოკულისტთან შეხვედრის შემდეგ დავინახე მთა? როგორც მოგახსენეთ, ანამ ბევრი რამ შეცვალა ჩემშიც და ჩემს გარშემო დაკრისტალებულ ფანტომებშიც, თუმცა არც ოკულისტის გულმოდგინებას ჩაუვლია უკვალოდ, ხომ? ამ უკანასკნელთან შეხვედრამაც ბევრი რამ შეცვალა... დარწმუნებით ვერ ვიტყვი, სად უფრო, ჩემში თუ ჩემს გარშემო, მგონი, ორივეგან თანაბრად და $y = kx$ ან ძალიან უმნიშვნელო სხვაობით ერთ-ერთის სასარგებლოდ. თუმცა უმნიშვნელო სხვაობებს რა მნიშვნელობა აქვთ მაშინ როცა ქილერს შენზე შეკვეთა აქვს აღებული და, მით უფრო მაშინ, როცა ქილერი ნინძაა?

6.

ერთავად სულ შავებშია გამოწყობილი, ფეხზე თხელძირიანი შავი ნაჭრის ფეხსაცმელი აცვია, ხელზეც შავი თათმანი უკეთია და თავზეც ნაჭრის შავი ტომარა აქვს წამოცმული, რომელიც მხოლოდ შუაშია ზოლად გაჭრილი, საიდანაც ღრმად გამზირალი და ვიწრო, თითქოს ყალმით ნახატი და მგონი უქუთუთო თვალებით მიყურებს. ეს არაა დაუდეგარი თვალი, არც ელვარე ეთქმის, არც მომთხოვნი და არც მბრძანებლური, უმალ რომ ასჭრის ადამიანის ბუნების მასაზრდოებელ რძეს, რომლითაც ესოდენ გაჟღენთილია ბინძური ჰარის ბუნება – როგორ გეკადრებათ, ესაა სიცივით აღსავსე თვალი. გვერდებზე წვრილი, სადგისივით თამწამახული და სამართებელზე ბასრი მახვილები ქამარში აქვს გარჭობილი, ზურგზე მგონი თვით ჰატორი ჰანსოს ნაკეთი ხმალი ჰკიდია, თან ბუმბულივით მსუბუქად და ჰაეროვნად გადაადგილდება – კაცი კი არა, ჩრდილი გეგონება. კედელზე ცოცვას ვინ ამბობს, წყალზე სირბილიც შეუძლია და ჭერზე დაკიდებაც, კორპუსის სახურავიდან ტროსით ელვის უსწრაფესად დაშვებაზე რომ

ალარაფერი ვთქვათ. მსგავს რამეებს კინოში თუღა ნახავ კაცი.

არ ვიცი, რამდენი და რომელ ვალუტაში გადაუხადეს, სამაგიეროდ ზუსტად ვიცი, ვინც გადაუხადა და რომ ქილერი ინტერნეტით დაიქირავეს.

მთელი თვეა საზიზღარი მკვლელი ერთი წამითაც არ მტოვებს და ჩემს ყოველ ნაბიჯს აკონტროლებს. ორში ერთია: ან ბედი მწყალობს, ან ქილერი მეთამაშება და გარდუვალი სიკვდილის წამს მიხანგრძლივებს – ჩემი გამწარება თუ უნდა (რაც, ვაღიარებ, გამოსდის). თუ პირველია, მაშინ სრულიად შემთხვევით ვუსხლტები ხელიდან, თავს დროზე ვწევ თუ რა არი, ის კია, ერთს ჩაისისინებს და ვარსკვლავი (იაპონურად მგონი სიურიკენი ჰქვია) ჩემი შუბლის ნაცვლად ჩემს უკან კედელში ერჭობა ხოლმე. გუშინ მოწამლული ნემსიც კი ავიცდინე, რომელიც, სამწუხაროდ, ტიტომ ვერ აიცდინა.

ოკულისტთან ვიზიტის შემდეგ შევუარე. კარგი დიზაინერი, ქართული ბოდიარტის პიონერი, და საერთოდაც, კაი ბიჭი იყო ტიტო, ალალი გულისა და ჯიგრის მქონე, ღვთით მოძებული პატიოსნება თავზე გადასდიოდა,

თან წესიერი ხალხის შვილი, ვაჟკაცურად რომ დაადგა გზას ბედის საძებრად, მაგრამ შუა გზაზე ნემსმა მოულო ბოლო. მის სტუდიაში ვიდექით და ჩემს სათვალეს განვიხილავდით... მუსიკალური ცენტრიდან ბოუის განწირული ხმა ისმოდა. ის იყო, საუბარი თანდათან სათვალიდან კედლის გრაფიტის უახლეს ტენდენციებზე გადავიდა, რომ ტიტომ ხელი ლოყაზე იტაცა, კოღო თუ ეგონა. აბა, რა იცოდა იმ საწყალმა, სწორედ კედელზე აკრული ნინძას ნასროლი ნემსი თუ გაათავებდა. ადგილზევე არ მომკვდარა, სამი ნაბიჯის გადადგმა მოახერხა. ერთი, ორი, სამი და... ისე მოსხლეტით დაემხო სახით, გეგონებოდა, თავისი სტუდიის იატაკი უნდა დაეკბინა და თან რაც შეიძლება სწრაფად. ნინძა ამასობაში კედლიდან უკვე ჭერზე გადაფრენილიყო და თავქვედაკიდებული ახლა იქიდან მიყურებდა თავისი თოჯინის თვალებით.

ო, როგორ გავმწარდი! როგორ ვინატრე "უზი", ამას ვერ გადმოგცემთ! რომ მქონოდა, იქვე დაუფიქრებლად მივასაღებდი. ტვინი უცბად ამიმუშავდა – დიდი არჩევანი არც მქონდა: ან სასწრაფოდ უნდა გავქცეულიყავი, ან ნატვრის ასრულებისთვის დამეცადა.

ტიტოს უკანასკნელად დავხედე და ამ დროს ბოუიმაც იწივლა:

Spaceboy, you're sleepy now
Your silhouette is so stationary
You're released but your custody calls
And I wanna be free

ეს სრულიად საკმარისი იყო. არ მახსოვს, სტუდიიდან როგორ გამოვიქეცი, აქამდე როგორ მოვაღწიე, როგორ დავუძვერი თვალბედით, შავ ნინძას, მთელი გზა უკან რომ მომჩხაოდა და მოწამლულ ნემსებსა და ვარსკვლავებს სულ სისინ-სისინით მესროდა ყველა მხრიდან: კედლებიდან, ხეებიდან, ბუჩქებიდან, კორპუსის კუთხეებიდან და მანქანის ფანჯრებიდან, ავტობუსის სახურავებიდან... ასულნო იერუსალემისა, პლაყსტატიონ ხომ ყველას გითამაშიათ? ჰოდა, ახალ და უცნობ თამაშში სრულიად შემთხვევით და დაუზიანებლად რომ გაივლი მთელ დონეს ისე, რომ შენვე გაგიკვირდება, ასეთი რამ მოხდა. როგორ ავიცილე ამდენი ნემსი, მე თვითონ მიკვირს და ეს ცალკე განსჯის საგანია, ამიტომ ამაზე აქ არ შევჩერდები. მხოლოდ იმას გეტყვით,

რომ სტუდიიდან გამოსვლისას მგონი არავის დავუნახივარ და ტიტოს სიკვდილსაც ალბათ ნარკოტიკს დააბრალებენ. ასეც იქნება. რომელი პრემიერ-მინისტრი ის მყავდა, რომ მისი სისხლი ფედერალურ ბიუროში გადააგზავნონ ექსპერტიზაზე? რაც შეეხება ლოყაში გარჭობილ ბუმბულიან ნემსს, ეს ყველაზე ნაკლებ სადარდოა, რადგან რაც რამ შესარჭობი, შესაყნოსი და შესაყლაპი იყო, ტიტომ ყველაფერი დიდი ხნის წინ უკვე შეირჭო, შეიყნოსა და შეყლაპა. მის ნაირფერ ტატუებსა, ათასგვარ საყურეებსა და წარმოუდგენელ პირსინგებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, პანკი იყო თხემით ტერფამდე, სისხლის ყოველი წვეთით, ყოველი ძარღვითა და ყველა უჯრედით. დაზუსტებით ვერავინ იტყვის, ტიტო გინდა თუ არა კიბერპანკი, პოსტპანკი, პროპანკი ან ორგპანკი იყოო. თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. სიარულისას მთელი მისი ეს საყურეები და პირსინგები სულმუდამ ისე წკარუნობდა და ჟღარუნობდა, რაღაც სასწაულით წინარესაუკუნეებიდან გადმომხტარი ჯვაროსანი გეგონებოდათ. მე თუ მკითხავთ, მართლა იყო მასში რაღაც ჯვაროსნის. ამიტომ, არა მგონია, რომ მაინცდამაინც ლოყაში

გარჭობილმა ბუმბულიანმა ნემსმა გაუჩინოს ვინმეს ეჭვი.

7.

საღამოს, ყველაფერი რომ კარგად ავწონ-დავწონე და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩემი შესაძლებლობები ჩემი მკვლელისას შევუფარდე, მივხვდი, არცთუ საუკეთესო პოზიციაში ვიყავი. უცბად ყელში ამასხა ყველაფერმა, ეს კატა-თაგვობანაც ძალიან მომბეზრდა და მოიღუნა ჩემი ნებისყოფაც. სანამ თქვენ გამოჩნდებოდით, ასულნო იერუსალემისა, ისიც კი ვიფიქრე, საცა იწროა, იქ გაწყდეს-მეთქი. ყველა პროფესიონალი მკვლელის დიდი პატივისცემა მაქვს, ღმერთი იყოს მათი შემწე და იმის იმედიც მაქვს, რომ ღვთის ნებით ყველა მათი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდება, თუმცა სისულელეა, დიდი სისულელე, იმას უცადო, თავს როდის წაგაცლიან.

თან სულ ამას ვკითხულობდი: ბინძურო ჰარი, შენს გარდა ვინ შეაყენებს ბობოქრობას სტიქიონისა? რომელი ბილი შენ ხარ ან

სადაური შავი მამბა შენი მკვლელია? შე-
მოგიტიეს მიკრობებმა? შეუტიე შენც! შენს
გამო ხომ არ დაემსგავსება თბილისი ცოდ-
ვათა ქალაქს? ტიტოს მსგავსად კიდევ რამ-
დენი მართალი და პატიოსანი უნდა გააციოს
მკვლელმა, ვიდრე შენ მოგიდგება? მზად ხარ,
აიღო მახვილი, რომელსაც უფალი გიწვდის?
თუ არა, პოზა მაინც დაიჭირე. *Strike a pose!*
ვარსკვლავებს გესვრიან? მეტი რაღა გინდა?
ვარსკვლავური ომები, თუ გნებავს, ესაა.
მაინცდამაინც დარტ ვეიდერობას შენგან
არავინ ითხოვს, მაგრამ იმას მაინც ხომ უნდა
მიხვდე, რომ ფრონტის ხაზზე ხარ? ჰოდა,
შენც ისე მოიქეცი, როგორც ჯარისკაცს შეე-
ფერება! მარტო ჰიპებს უნდოდათ მშვიდობა
და სიყვარული. შენ დამატებით "ფერარიც"
გინდა და ავღანური ჰეროინიც. მერედა ეს
ბევრია? ცხადია, არა. ეს, – როგორც პოეტი
ტარკოვსკი ამბობდა, – ცოტაა. – ჰოდა, მეც
ეს რკინის ლოგიკა მაოცებდა და ჩემს გაოცე-
ბას იზიარებდა მთელი ევროპა.

მე კი ასეთ მძიმე წუთებში ევროპას ვერ
მივატოვებდი. ამიტომ თქვენს მოსვლამდე
ლოგინიდან ჩუმად ავდექი და სამზარეულოში
გავედი. ანას ისე ტკბილად ეძინა, რომ თვით

მშობელი დედაც კი აღარ ახსოვდა. დანა და ვაშლი ხელში ავიღე – თლაც ვითომ აუღელვებლად და მექანიკურად დავიწყე. კედელზე აკრულ მკვლელს თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ ვერ ვხედავდი. საიდან შემოეხეტა, არ ვიცი, ჰაერგამწოვ მილს ტარაკანივით თუ გამოუყვა ანთუ ღამურასავით ფანჯრიდან შემოფრინდა. იმასაც მეტი რა უნდოდა, ზურგსუკნიდან ხმალი ჩუმად მოიხსნა, ძირს ჩამოხტა და ფეხაკრეფით მომეპარა. რაც შეიძლება ახლოს მოვუშვი, და, ის იყო, უცბად გვერდი მოვინაცვლე და ხელი მოვიქნიე, მეგონა, დანას მუცელში გავუყრიდი, მაგრამ ის კატასავით გვერდზე გახტა, ფეხქვეშ რალაც ჯადოსნური ფქვილი დაიყარა, რომელიც მაშინვე თეთრ კვამლად გადაიქცა და თვითონაც იმ კვამლში გაუჩინარდა.

8.

ჯერჯერობით არ გამოჩენილა, თუმცა ტანით ვგრძნობ, სადღაც აქვეა. შეიძლება ფარდის უკანაც დგას. თუ ასეა, არ ვიცი, რას უცდის. თქვენ თუ გერიდებათ, ასულნო იე-

რუსალემისა. შეუცნობელია გზანი მკვლელისანი. ეგ არაფერი, თუნდ ახლავე მომიღოს ბოლო, ოღონდაც კი ჩუმად გააკეთოს გასაკეთებელი და ანა არ გააღვიძოს.

kill me Sarah
kill me again
with love

ოღონდ *with love*, აუცილებლად *with love*... რადგან, მტკიცედ მწამს, რომ უსიყვარულოდ არ არსებობს არც უკვდავება და არც მკვლელობა არ არსებობს უსიყვარულოდ. და რა მნიშვნელობა აქვს მკვლელს რა ერქმევა, ნინძა, სარა თუ შავი მამბა. მკვლელობისა და სიყვარულის ურთიერთკავშირზე კი, დამეთანხმებით, ლაპარაკიც არ ღირს... რაც შეეხება პოეზიას, მას ყველაფრისადმი გამზადებული აქვს მოხდენილი და ჩამოქნილი გამონათქვამები. მკვლელობისთვის ხომ მთელი წყება მოეძევება. ბოდიში მომითხოვია ამ მცირე დისკურსისთვის, თუმცა შეიძლება ეს არც არი დისკურსი, მაგრამ აქვე ბარემ ერთი არცთუ ძველი სიმღერის ფინალურ სტროფს მოვიტან სანიმუშოდ: *we need love, we need love, we need love*... თან, მიაქციეთ

ყურადღება, რომ ამას მკვლელი ამბობს და არა ვილაც არიფი.

9.

ისე, სიტყვა რომ არ მქონდეს დადებული, უთუოდ ელეგიას დავწერდი რომელიმე დიქტატორივით. უკლებლივ ყველა დიქტატორს სიკვდილის წინ ხომ თითო ელეგია აქვს დაწერილი, ზოგს ორიც, – ამბობენ, პრიმო დე რივერამ მთლად 100 ელეგია შეთხზაო, – ასეთი იყო წეს-ჩვეულება. ეს რაღა შუაშია? ახლავე მოგახსენებთ, რასაც ვგულისხმობ.

დიქტატორი ხომ ლათინური სიტყვაა და სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს ნიშნავს, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდველი ძალაუფლებით. ჰოდა, რადგან ბინძურ ჰარის თავისუფლად შეუძლია თქვას, და ამიტომ, ამბობს კიდეც, სახელმწიფო – ეს მე ვარო, შესაბამისად, გამოდის, იგია შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილი და თავისთავსაც თვითონ მართავს ერთპიროვნულად. ჭეშმარიტად არი რაღაც მეფური იმაში, როცა სიკვდილის წინ ელეგიას წერ კაცი. სწორად

შენიშნა პოეტმა, ძილი – სიკვდილის რეპეტიციაო. ბინძური ჰარიც ალბათ ამიტომ წერდა განსაკუთრებით ძილის წინ.

მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, აღარასდროს არაფერი დავწერო. რადგან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კაცმა მხოლოდ მაშინ უნდა წერო, როცა არ გეზარება ან საქმე სხვა აღარაფერი გაქვს. მე კი, უნდა მოგახსენოთ, რომ წერა ჭირივით მეზარება და, უმალ ნაცარს გავქექავ და კედელს ცერცვს შევაყრი, ვიდრე კალამს ავიღებ ხელში. მით უფრო, რომ არც ნაცრის საქექი ჩხირი მაკლია, ხოლო კედლისთვის შესაყრელი ცერცვი იმდენი მაქვს, შემიძლია თითოეულ თქვენგანს თითო ტომარა ვუანდერძო. მირჩევნია, რაც აქამდე დავწერე, იმას მივხედო და მოვუარო. ხომ ნათქვამია, თუ ომში არაა, მაშინ კაცმა თავის მაჭახელას უნდა მოუაროსო. ჰოდა მოვუვლი, შემოვაწყობ თაროზე ჩემს წიგნებს და ვუყარაულებ. ცხადია, როგორმე ნინძას თუ გადავურჩი ან ჩემმა მტრებმა არ გამკოჭეს – ბარემ აქვე გამოგიტყდებით, როგორც ყველა ნამდვილ დიქტატორს, მეც მმტრობენ ჯადოქრები, – და რაიმე საზარელი

განსაცდელის მუქარით რამეზე ხელი ძალით არ მომაწერინეს (იმასაც აქვე გეტყვით, რომ ვერავითარი განსაცდელი წარბსაც ვერ შემახრევინებს, რამეთუ წიგნი აპოკალიფსისა და დანტეს "ჯოჯოხეთი", მთელ თავის ფაუსტურ პარადიგმებიანად, ბავშვური გართობაა იმ ქაოსთან შედარებით, რომელიც ჩემი მოკლე ჭკუის, რომელი მოკლე ჭკუაც ღმერთმა მიბოძა, ქურაში იწრთობა). თუმცა, კაცი რომ გაკოჭო, ამისთვის, სულ მცირე, მისი მოხელთებაა საჭირო. მე კი, უნდა მოგახსენოთ, რომ საკმაოდ ფრთხილი ვარ საიმისოდ, რომ ვინმემ მომიხელთოს. მართალია, ამ ცოტა ხნის წინ ორმა ჯადოქარმა ბნელ სადარბაზოში მაინც მომიმწყვდია და კომბლით ისე მიმბეგვა, რომ ძვალი და რბილი გამიერთა და ზურგიდანაც სულ ბდღვირი მადინა. მაგრამ, ჩანს, არ მეწერა ბედად, რომ ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე მაინცდამაინც კომბლით მომღებოდა ბოლო. ცემას რომ მორჩნენ, რატომღაც ფეხზეც მიკბინეს და მერეღა გამშორდნენ. ფეხის მოჭმა თუ უნდოდათ... ანთუ როლანდი ვეგონე, რომელსაც ქუსლი ქონდა მოწყვლადი, ბერნარდო დელ კარპიომ რონსევალის ხეობაში სადგისით რომ მოუღო ბოლო. მა-

გრამ ჯადოქართა კომბლები და მათი ფეხზე კბენანი რა მოსატანია ნინძას სიურიკენებთან და მოწამლულ ნემსებთან?

10.

თუმცა ჯადოქარს რამეს შეაგნებინებ? ისინი ხომ კომბლით ფიქრობენ. ეს ჭეშმარიტად კომბლის ფილოსოფიაა და ამ საკითხის განხილვას ერთმა ბრძენმა საგანგებოდ მთელი კარაბადინიც კი მიუძღვნა სათაურით "ღმერთების დაისი ანუ ფიქრი კომბლით". მაგრამ ეს არაფერი. ჯადოქრები ბავშვებივით არიან. ყველა მაგსა და კუდიანს ხომ თავისი განსაკუთრებული ცერემონიალი აქვს. მაგალითად, ჰაიდნი ისე არაფრის დიდებით დაწერდა მუსიკას, თავზე საზეიმო გაპუდრულ პარიკს თუ არ წამოიცვამდა. შილერი მთლად ყინულის ნატეხებით სავსე წყლიან ტაშტში ფეხწაყრილი წერდა ტრაგედიებს. ამბობენ, უწყლოდ არც აგატა კრისტის შეეძლოო წერა. აავსებდა თურმე წყლით აბაზანას, ერთს კარგად ააქაფებდა, ჩაწვებოდა დედიშობილა, შემოიდგამდა იქვე საბეჭდ მანქანას და

იქამდე აჩხაკუნებდა, ვიდრე მთელ ნოველ-
ლას არ გამოაცხობდა. აინშტაინს პირიქით,
ისე სძულდაო წყალი, რომ კბილებსაც კი არ
იხეხავდაო. ფარდობითობის თეორიაც ასე პი-
რაყროლებულს ჩამოუწიკწიკებია, თურმე. რა
შორს მივდივართ, გახსოვთ ალბათ, ერთხელ
სპარსელი ქსერქსე ისე განრისხდა, რომ მთ-
ლად მთელი ზღვა გაამათრახა. ამ მხრივ ან-
ტონ ჩეხოვმა ნაღდად ყველას გაუსწრო: სიკ-
ვდილის წინ, არც მეტი და აღარც ნაკლები,
შამპანური მოითხოვა! ერთი შეხედვით შეი-
ძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს უკანასკნელი
სულ სხვა ოპერიდანაა, თუმცა, სათანადოდ
თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ანტონ
ჩეხოვიც იმავე ოპერის მოქმედი პირია, რო-
გორც ყველა ზემოჩამოთვილი, და ბევრი
სხვაც, და უკლებლივ ყველანი ჯადოქრები
ანუ ბავშვები გახლავან. ახლა საკითხავია,
ვის ეზარება კბილების გამოხეხვა, ვინ ამა-
თრახებს ზღვას და ვინ ითხოვს სიკვდილის
წინ შამპანურს, თუ არა ბავშვი? არ იცოდით?
სიკვდილის წინ დიქტატორები ელეგიებს თხ-
ზავენ, ხოლო ბავშვები შამპანურს ითხოვენ.
ბინძურ ჰარის კი ძალიან უყვარს ბავშვები
და მათი ნებისმიერი ახირებაცა და გამოხ-

დომაც სიხარულით ავსებს. ხოლო ყველაზე უფრო მეტად მაშინ კარგავს გონებას, ხდება მრისხანე და შეუბრალებელი, როცა ბავშვებზე ცუდ რასმე მოისმენს, ვინაიდან ისინი სიცოხლეზე მეტად უყვარს. მაშინაც კი, ჯადოქრებმა კომბლით ძვალი და რბილი რომ გაუერთეს, იმას წუხდა, რატომ მეორე ზურგი არა მაქვს, რომ ისიც მივუშვიროო.

11.

და სულ ფეხებზე მკიდია, ამის გამო ვინმე პედოფილიაში მხილებას თუ დამიპირებს. ისე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ყველა ნამდვილ დიქტატორს უყვარდა ბავშვები და ყველა ისინი ლატენტური პედოფილები იყვნენ და არიან. შორსაც რომ არ წავიდეთ, მარტო ქრისტეს როგორ უყვარდა ბავშვები. სწორედ ის არ ამბობდა: დაიმკვიდრე დიდება ჩვილთა და მეძუძურთა პირითო? თუმცა აქ ერთი ლოგიკური შეკითხვა ჩნდება. კერძოდ, იყო თუ არა მაცხოვარი დიქტატორი. ვფიქრობ, იყო. მაგრამ ეს ჩემი აზრია ამ წუთში, თუ დავფიქრდები, შეიძლება ჩემი სიტყვა უკან წავიღო. თუმცა, სანამ რამე უკან წამიღია, აქვე ბარემ ლენინისა

და ბავშვების სიყვარულიც ვახსენოთ, რომელზეც მთელი ტომეულებია დაწერილი... ამხანაგები კიმ ჩენ ირი და მისი მეუღლე კიმ ჩენ სუკი ხომ იმდენად იყვნენ ბავშვების სიყვარულით აღვსილნი, რომ საგანგებოდ და სპეციალურად მათთვის ჯადოსნური სიტყვა "ჩუჩხეც" კი გამოიგონეს და ანდერძად დატოვეს, რაც ირიბი თარგმანით დამოუკიდებლობას ნიშნავს, თუმცა სინამდვილეში იგი (სიტყვა) გაცილებით მეტს გულისხმობს და შეუდარებლად ტევადია, ვიდრე უბრალოდ სიტყვა – ანუ ბგერათშეერთება, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს. ოფიციალური ცნობით, ამხანაგმა კიმ ჩენ ირმა *ჩუ* მოიგონა, კიმ ჩენ სუკმა კი – *ჩხე*. მსგავსი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება... დაბოლოს, სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მარტო ეს ლოზუნგი რად ღირს: "აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!" ვინ ვინ და კომუნისტებმა ნაღდად იცოდნენ ბავშვების ფასი.

O children
Lift up your voice, lift up your voice
Children
Rejoise, rejoise

12.

თუმცა მივუბრუნდეთ ნინძას. ძვირფასო ასულნო, ნუთუ არ გაინტერესებთ, ვინ შეუკვეთა მას ჩემი თავი? თურმე ჩემმა ყოფილმა ცოლმა, რომელსაც აქამდე სავსებით სამართლიანად ვთვლიდი ჩემი შემოქმედების ერთგულ დამფასებლად, რადგან ჩემი არაფერი წაეკითხა. (კარგად მახსოვს მისი ერთგვარი სექსუალური ნაცისტური ფატალურობა... ერთგული ფსიქოფატის თვალებიც.) მოგეხსენებათ, ყველა დამფასებელი მხოლოდ მანამდეა ნაღდი და ერთგული, სანამ შენსას რასმე წაიკითხავს. მაგრამ, ეშმაკი შეუჯდა თუ რა იყო, თურმე ისე გულმოდგინედ უკვლევია ჩემი წიგნები, იმდენი უკირკიტა მათ და ისე უჩხრეკია ყოველი მათგანი, სულ ძირისძირამდე და გამონწვლილვით, პირდაპირ თავი დაუკლავს. განსაკუთრებით ჩემს ბოლო კრებულს ისე აუდულებია მისთვის ტვინი და მის ფაქიზ სულზეც ისეთი ღრმა კვალი დაუმჩნევია, რომ მკვლელის დაქირავების მეტი ვერაფერი მოუფიქრებია. ასე გადმომცეს, წიგნი დახურა თუ არა, უმალ ბინძური ჰარის სიკვდილი ინატრაო. უფრო ზუსტად, ტვინადუ-

ღებულს ჯერ საშინელი წყევლით ავუვსივარ, ჩემი სიკვდილი კი ოდნავ მოგვიანებით უნატრია. მართალია, პირად ანგარიშზე იმდენი არ ჰქონია, რომ ნატვრა უმალ აეხდინა, სამაგიეროდ სურვილი ჰქონია იმდენად დიდი და უსაზომო, რომ უმალ გაუყიდია მთელი ავეჯი და თავისი სამკაულებიც ზედ მიუყოლებია. მაქმანიან ჩაჩებსაც, ღამის პერანგებსაც და კოხტა ქვედატანებსაც შელევია, – ოღონდაცო, – დაქირავებული მკვლელისთვის უთქვამს, – ბინძური ჰარის თავი მომიტანეო. ჰოდა, ზის ახლა თურმე თავის ბინაში შუა მანჰეტენზე და იმას ელოდება, ჩემს თავს ხონჩით როდის მიართმევენ. (ისე, სულ მაინტერესებდა, ნიუ-იორკში რამ წაიყვანა-მეთქი. ინგლისური მაგან არ იცოდა, და თუ სწორად მახსოვს, არც ლიმუზინებზე ქონდა გართულება და არც ფრენკ სინატრაზე გიჟდებოდა მაინცდამაინც. შეიძლება ბეიბისითერებმა ჩაითრიეს?) დამატებით ისიც მითხრეს, გულხელდაკრეფილი კი არა ზის, გამწარებული ოთახიდან ოთახში ჯიხვივით დახტისო, თან ცვილისგან ტიკინაც გააკეთა, რომელიც შენ გგავსო გაჭრილი ვაშლივით და იმ თოჯინაში დროდადრო ნემსებსაც არჭობსო მონდომებით, – არ

გამოვრიცხავ, ამ დროს ხაჩატურიანის *Sabre dance* ისმოდეს სადღაც შორიდან, – მაგრამ ეს ამბავი რაღაც არ მეჯერება... არ მეჯერება, რომ ჯადო ნიუ-იორკიდან თბილისამდე აღწევდეს. *DHL*-ით ხომ არ გამოაგზავნის? ის კია, ამ ბოლო დროს გულში რაღაც ჩხვლეტებსაც ვგრძნობ და მუმიებთან მასლაათის სურვილიც სულ უფრო მიმძაფრდება.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, დანებებას არც მე ვაპირებ. მით უფრო, რომ ნათქვამია, ძალაუფლებას მხოლოდ მაშინ უნდა შეელიო კაცი, როცა თმებით დაგითრევენ და არა მაშინ როცა ცხენზე ზიხარო. თუნდაც ეს ცხენი ხისა იყოს. ხოლო თუ დაუჯდომელიც ხელთა გაქვს, წმიდისა მღვდელ-მოწამისა კვიპრიანე კართაგენელისა, შეგიძლია სულაც გულდამშვიდებული იყო. მართლაცდა, ნინძა კი არა, რომელი ასპიტი და ვასილისკო მოგეკარება, თუ ხის ცხენზე ზიხარ და მეშვიდე კონდაკს კითხულობ, ა? ახალ ბრძენ მკურნალად გამოუჩნდი სოფელსა, მღვდელმოწამეო კვიპრიანე, რამეთუ ლოცვისა შენისა ძალითა მრავალფერ გრძნეულებათა ვერ ძალუძთ წინააღდგომად ჩვენდა, არამედ ბოროტ კაცთა მიერ წარმოგზავნილნი მეყვსეულად შე-

იმუსვრიან და განიდევნიან, ხოლო ჩვენ გიგალობთ ესრეთ: გიხაროდენ, ჯადოქრულ თოჯინათა დამარღვეველო; გიხაროდენ, სნაიპერთა განმდევნელო; გიხაროდენ, რამეთუ შენით დაქირავებული მკვლელი, ვითარცა კვამლი განქარდება... აკი განქარდა კიდეც?

ძლიერ კი დამაინტერესა, რამდენად შემაფასეს. ყოველთვის ვცდილობდი იმის დადგენას, რა – რა ღირს. ფასები ჩემი სისუსტეა. მაგალითად, ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მითრიდატე პონტოელის ხმლის ქარქაში თავის დროზე ოთხასი ტალანტი ღირდა, არაბეთში ერთ დროს ვერცხლი ოქროზე ათჯერ ძვირად ფასობდა, ლარისაში მიცვალებულის ყარაულს ერთ ღამეში ათასი ნუმი ერგებოდა, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ კილო ძეხვი "მონადირული" 10 მანეთი ღირდა, და ა.შ. თუმცა ფასებზე გინდათუარაობა შორს წაგვიყვანს. ჩვენ კი შორს წასვლა არ გვჭირდება. რომც მოვინდომოთ, ვინ გაგვიშვებს? მარჯვნივ წახვალ და ნინძა დაგხვდება, მარცხნივ გაუხვევ და ყოფილ ცოლს გადაეყრები, პირდაპირ თუ ივლი, უთუოდ ჯადოქრები გამოგიყვანენ წირვას. სულ რომ არაფერი ვთქვათ ჩასაფრებულ ვეფხვსა და უჩინარ დრაკონზე.

13.

ისე, მე თუ მკითხავთ, ასეც უნდა იყოს, ანუ ყველა პატიოსან კაცს სულ ცოტა ერთი მკვლელი მაინც უნდა დასდევდეს. მით უფრო – დიქტატორს. თქვენი არ ვიცი, ასულნო იერუსალემისა, მე კი ერთ ღირსეულ კაცსაც არ ვიცნობ, ვისაც მკვლელი არ დასდევს. დიქტატორებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მათ უმეტესობას, სწორედ მკვლელებმა მოუღეს ბოლო. ხუთწუთიანი ძებნა ჩოოგლე-ში სამუდამოდ დაარწმუნებს ყველა ურწმუნოს, რომ ეს სრული სიმართლეა. მაგრამ... ჩნდება კითხვა, რა ყრია ამ ყბადაღებულ სიმართლეში, რას გვაძლევს მისი შეცნობა?

You'll see your problems multiplied
If you continually decide
To faithfully pursue
The policy of truth

ეკლესიასტე ამბობს, მრავლის შეცნობა წუხილს ამრავლებსო. ჰოდა, ეს სიმართლეზეც შეიძლება ითქვას. დიახ, სიმართლის შეცნობა წუხილს ამრავლებს. შეწუხდები, აბა

რა მოგივა, როცა გაიგებ, რომ შვედ მეცნიერებს გარეულ ბატებში ჰომოსექსუალური ნეკროფილიის რამდენიმე ფაქტი დაუფიქსირებიათ, თურმე. მე არ მაწუხებს, მაგალითად, რომ ყველაფერი ამაოა და ქარების დევნა, რომ მეც მოკვდავი ვარ, ყველას მსგავსი, დედის მუცელში გამოძერწილი ხორცი, სისხლით შენივთული ათი თვის მანძილზე მამაკაცის თესლისა და ძილის თანმხლები ტკბობისგან, მაგრამ, როცა ბატების თაობაზე ტელევიზიიდან ვგებულობ, სულში თითქოს რაღაც ნალექი მრჩება. რომის პაპმა კვერცხი რომ დადოს, კიდევ ჰო, ამას გავიგებ, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერაფრით ლაგდება ჩემს ტვინში ბატების საქციელი. ამქვეყნად ერთი ბატების იმედილა მქონდა... თავის დროზე განა სწორედ მაგათ არ იხსნეს იგივე რომი? რომ არ ეხსნათ, ხომ დარჩებოდა პაპი უბინაოდ? დარჩებოდა. უბინაომ კი გინდა კვერცხი დადე, გინდა – ერბოკვერცხი, ზედაც არავინ მოგაფურთხებს. ისე, საკითხავია, რომ შველოდნენ, ჰომოსექსუალი ჩიტები მაშინაც ხომ არ ნეკროფილობდნენ?

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ვფიცავ ალაჰს, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხო-

ლოდ სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა.

14.

ყოველგვარი სტატისტიკა ჭირის დღესავით მეზარება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით მას. უსტატისტიკო წიგნი უმონასტრო ბერსა ჰგავს. უმონასტროდ კი რაა ბერი – თევზია უწყლოდ, უთვისტომოა საწუთროში, ყარიბი უცხო. მაშ ასე, კეისარი ისე დაჩხვლიტეს მოკლე მახვილებით, თითქოს საცერს აკეთებდნენ მისგან. პომპეუს დიდსაც მკვლელმა მოკვეთა თავი... ძველი რომის ქრონიკები რად გვინდა, აგერ გუშინ ულოფ პალმესაც მკვლელმა არ გაუხვრიტა ტყვიით შუბლი? ეს ის ულოფია, უკვე შუბლგახვრეტილმა რომ თქვა: გმადლობთ, შაქარი ორი კოვზიო. ის კი უცნობია, რომელ შაქარს ან რომელ კოვზებს გულისხმობდა. ლენინზე აღარაფერს ვამბობთ. იმდენი იძახეს მკვდარზე, გინდა თუ არა ცოცხალია და ცოცხალიაო, რომ ბელადს სიკვდილის შემდეგ უფრო მეტჯერ დაესხნენ თავს, ვიდრე სი-

ცოცხლეში. ფიდელ კასტროზე ხომ მთლად ლეგენდები დადის, და, მართალი და მოჭორილი ერთმანეთში ისეა გადაწნული, ბევრიც ეცადო, ვერც თავს დაუდგენ, ვერც ბოლოს. მაგალითად, ამბობენ, იყო შემთხვევა, როცა თავდამსხმელი საკუთარი ხელით მიახრჩოო. ფანტასტიკური ამაში არაფერი იქნებოდა, ამ დროს თავდამსხმელი თვითონვე რომ არ ყოფილიყო.

დღეს სირცხვილიც კია, ერთი-ორი სერიული მკვლელი თუ არ დაგსდევს კაცს. პირადი მკვლელის ყოლა ღირსების ამბავია და, თვეში ერთხელ მაინც თუ არ გესროლა ვინმემ "მუხა" ან ავტომატის ჯერი არ მოგიშვა, საქვეყნოდ თავი მოგეჭრება. რამდენიც გინდათ, იმდენი ვინმეა, პირადი სნაიპერის გარეშე ლამის ველარც რომ მოუშარდავს. ისე, მართლა უხერხულია, მთლად "ჰამასის" ან "ალ-ქაედას" წევრი თუ არა, მევალე ან საკუთარი ფსიქოთერაპევტი თუ არ დაგსდევს მოსაკლავად. თუ არც ერთი, მაშინ იმას უნდა უცადო, ყოფილი ცოლი როდის გამოგიცხადებს საღვთო ომს. ხოლო თუ არც პირველი გყავს, არც მეორე და აღარც მესამე, მაშინ ბოდიში, მაგრამ შენი მოკვლაც არავის დაე-

სიზმრება და აღარც ჯიჰადს გამოგიცხადებს ვინმე. მოკლედ, აქაც გამართლებაზეა. თუმცა, ეს არაფერი, საერთოდ ყველაფერში რომ კეთილი ბედი დაჰყოლოდა, ასეთი მარტო ვესპასიანე იყო.

მოკლედ, თანამედროვე მსოფლიოს უნიკალური გამოცდილება იმაში მდგომარეობს, რომ დღესდღეობით ნიველირებულია თვით აზრიც კი ადამიანის არჩევნის თავისუფლებისა, რომელიც იმავე მსოფლიოს საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. მგონი მის ამერიკის ღირსი სიტყვა გამოგვივიდა. თუმცა, შეიძლება ეს არც არი მის ამერიკის ღირსი სიტყვა. არადა, თავისუფლება ისაა, როცა გინდა რუბიკონის გადალახვა და ლახავ რუბიკონს, გინდა წილის ყრა – ყრი წილს, გინდა პარიზში ტანგოს ცეკვა უკანასკნელად – ცეკვავ ტანგოს პარიზში უკანასკნელად... და არა ის, როცა ძალით გაცეკვებენ. მე ასე ვფიქრობ და, ერთი ნინძა კი არა, მთელი სანინძეთიც რომ გადამეკიდოს, მაინც არ შევიცვლი ჩემ აზრს. მოკლედ, ასეთია თანამედროვე ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო დოქტრინა, გნებავთ – ახალი თეოდიცეა. სასწაულებიც ამიტომ აღარ ხდება. უფრო სწორად, სასწაუ-

ლი დღეს ნორმად ითვლება. ამიტომაა, ათასგვარი გადახრები და მეტამორფოზებიც რომ აღარავის აკვირვებს. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ მუტაციებზეც. არ შეგიმჩნევიათ? რახანია ქრისტე ლოტოსის პოზაში ჩაჯდა, ხოლო ბუდა ჯვარს ეცვა, მთა კი მოჰამედმა ლომბარდში ჩააბარა. ეგაა, რომ ჯერჯერობით რომის პაპს არ დაუდია კვერცხი... თუმცა, რომც დადოს, ვიღას გაუკვირდება? ცხადია, არავის, რადგან ესეც ნორმა იქნება. კიდევ მეტი, მალე ალბათ ინგლისის დედოფალი "ფლეიბოისთვის" პოზირებას დაიწყებს, შვედი მეცნიერები დაამტკიცებენ, რომ დედა ტერეზა ტრანსვესტიტი იყო და გაჩნდება ახალი პანკ-გლამურ ჯგუფი სახელწოდებით – *Depeche Modern Talking*. რა ბევრი გავაგრძელოთ, გინდა ჯვარს ეცვი, გინდა კვერცხი დადე, არჩევანი დიდი არა გაქვს. ორში ერთია: ან მკვლელი უნდა იყო, ან მოსაკლავი. მართალია, ხდება თვითმკვლელობებიც, – ის კი არა, შაჰიდის ქამრები აფთიაქში იყიდება უკვე, – მაგრამ ეს მაინც იშვიათი შემთხვევებია და მათ კანონზომიერებას ვერ უწოდებ. და საერთოდაც, თვითმკვლელი შამპუნ-კონდენციონერივითაა, 2 *in* 1.

ფონოგრამა

ჰეროინს თელავში ვერ იშოვი. იშოვი ავ-ტომატს, ყალბ პასპორტს, ტროტილს და რუ-მინელ მონასაც, მაგრამ ჰეროინს ვერა. დაწყ-ევლილი ქალაქია. არადა, როგორი საჭიროა ხანდახან ცოტა ჰეროინი! თუმცა ამას ვერ გაიგებს საღად მოაზროვნე უმრავლესობა. სამაგიეროდ გაიგებს საღად მოაზროვნე უმ-ცირესობა. ძალიან კარგად გაიგებს. მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. მოკლედ, რთულა-დაა საქმე.

საქმე კიდევ უფრო რთულდება, როცა რეჟისორი უმრავლესობიდანაა, შენ კი მის ფილმში ღებულობ მონაწილეობას, ხოლო გა-დაღებები თელავთან ახლოს შუა უდაბნოში მიმდინარეობს. როცა ტემპერატურა +50 გრა-დუსია, ფილმი კი კოსტუმირებული. მაგრამ

კოსტუმირებულსაც ისე გცივა, რომ... ხანდა-ხან გინდა იყვირო რაღაც უაზრობა. რაღაც საშინლად დარბაისლური. რამე ამის მსგავ-სი: "მორჩა კინო! გამორთეთ კამერა!". მერე ამაყად ყველას თავი დაუკრა, გადასაღები მოედანი გამართული ნაბიჯით (რაც არცთუ ისე ადვილია) დატოვო და პირველივე ტაქ-სით თბილისში გაფრინდე. თბილისში, რომე-ლიც სავსეა წმინდანებით, ექსტრასენსებით, პოეზიით, ჩინური მაღაზიებით და ჰეროინით. მაგრამ ვერაფერს ყვირი და ვერსად მიფრი-ნავ. რადგან კონტრაქტი გაქვს დადებული. ეშმაკს, რომელიც ფილმის პროდიუსერად გაგეცნო, ორი კვირის წინ ხელი მოუწერე რაღაც ფურცელზე.

ორი კვირის წინ, ეშმაკს კი არა, თუნდაც ზოოპარკის ზებრას მოვუწერდი ხელს ნების-მიერ რამეზე, ავანსად 10000 დოლარს თუ ჩამირიცხავდა ბანკის ანგარიშზე. მრგვალი თანხაა, ვერაფერს იტყვი. 10000 დოლარი ესაა რამდენიმე გასტუმრებული კრედიტი და ერთი-ორი სასწრაფო ვალი, ასევე ბევრი ჰე-როინი და ცოტაც ჯიბის ფული. თუმცა ჰეროინს ერთი თავისებურება ახასიათებს – რაო-

დენობის მიუხედავად, ის არასოდესაა ბევრი. მით უფრო მაშინ როცა იგი ორგანიზმშიც გაქვს და ჯიბეშიც. ასეთ დროს რაღაცნაირად ხელგაშლილი ხდები. გინდა, ყველა მშიერი დააპურო, ყველა მიუსაფარი შეიფარო, ყველა მწყურვალს წყალი დაალევინო... წითელი ჯვრის ერთგვარი ფილიალი ხარ. გვიანღა ხვდები, რომ ყველას ვერ გაწვდები.

თელავში რომ ჩავედი, 22 ბაში მქონდა. რაც საუკეთესო გათვლით 40 დღე უნდა მყოფნოდა. თითო ინექცია გადაღების წინ, თითოც გადაღების შემდეგ. ვერ გავთვალე. ზუსტად თვის თავზე ბოლო ბაში მოვადუღე. მეორე დღეს კი მივხვდი, რომ თელავი ლას-ვეგასი არაა, მაგრამ აქაც შესაძლებელია შიში და სიძულვილი. ოლონდ ასეთ მარტივ ჭეშმარიტებებს მას მერე ხვდები, რაც დოზა გაგითავდება. პირველად ხვდები, რომ ლას-ვეგასამდე თელავს ძალიან ბევრი უკლია. შიში და სიძულვილი მერე იწყება. შიში უსასრულო და სიძულვილი უფრო მეტი.

ცოტაც და გავანათებდი, როგორც მახარებელი. კიდევ ერთი კვირა და, თუ პირდაპირ

წმიდანთა დასში არ ჩამრიცხავდნენ, ღმერთის კანცელარიაში მაინც ამიყვანდნენ სტაჟიორად. მთელი თვე მღრღნიდა სურვილი, რომ შემეცნო რამენაირად, ჩვენი ბუნება ვით გადადის ღვთის არსობაში. ამიტომ მთელი თვე საკუთარ თავს უარვყოფდი, ტვინიდან ვიბერტყავდი პოსტმოდერნისტულ ნაგავს და უკან-უკან მივდიოდი, ანუ ჩემს ნამდვილ ფესვსა და ძირს ვუბრუნდებოდი – ქრისტიანობის გარიჟრაჟს. პარალელურად უმკაცრეს მარხვას ვინახავდი და უფლის სადიდებელ ჰიმნებს ვგალობდი. ცოტაც და ქანაანელ ასულებსა და იორიხონელ ჭაბუკებსაც გავკურნავდი. სამი კვირის თავზე უკვე ზნეობრივი იგავებით უბნობაც შემეძლო და ჩიტების ენაც მესმოდა. მესმოდა რეჟისორისაც, რომელიც ტრედისებრ უმანკო და გვრიტისებრ უბიწო მეგონა, სინამდვილეში კი ეშმაკის ვასალი აღმოჩნდა. ხოლო წინა ცხოვრებაში – იმპერატორ ფრიდრიხ II-ის ასტროლოგი, მისანი და აკუშერი.

და აი, ვდგავარ მე შუა უდაბნოში, და ვიდგები კიდევ, სანამ რეჟისორი არ დაიძახებს: "გადაღებულია!" მაგრამ იქამდე რთუ-

ლი და ხანგრძლივი გზაა, ოპერატორი ჯერ მხოლოდ კადრს აყენებს. თუმცა მე არსად მეჩქარება, ქალბატონებო და ბატონებო, შეგიძლიათ მშვიდად დააყენოთ კადრი. მე მომწონს აქ. აქაური სიჩუმეც მომწონს – ეს სულის სიმფონიაა. ასეთი სიჩუმე მარტო ანგელოზების სანატორიუმშია. ამ ცხელ ქვიშაში დგომაც მომწონს, გახუნებულ ფხვიერ მასაში, რომელიც ძალიან გავს კოვზის მუცელში წამოსადულებლად ჩაყრილ ჰეროინს. ასეა ჩემი ურბანისტული ტვინი მოწყობილი, შტრუდელის ჭამისას ყოველთვის ბებიაჩემი მახსენდება, ქვიშის დანახვისას – ჰეროინი.

მაგრამ ადრე თუ გვიან ეს გაუდაბნოებაც გათავდება. რადგან ოპერატორი ბებერი მგელია, ძველი დახვეწილი არისტოკრატი, თავისი საქმის ვირტუოზი, ნამდვილი ლასლო კოვაჩი. ასე რომ, კადრის დაყენებასაც უკვე მალე მორჩება. და ჩვენ გადავიღებთ კიდევ ერთ სცენას, კიდევ ერთ საერთო ხედს, სადაც მე წერტილისხელა გამოვჩნდები. მოცემულ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლებოდა ჩემს ნაცვლად დუბლიორის გადაღება (რადგან შემდეგ ვერც ერთი მაყურებელი ვერ

გაიგებს, სადღაც შორს ტრიალ უდაბნოში მაინცდამაინც მე ჩავიარე თუ ჩემმა ფსიქოთერაპევტმა), მაგრამ რეჟისორს ამის გაგონებაც არ უნდა. მას ყველაფერი ნაღდი უყვარს. თვითონაც ნაღდსა და ასპროცენტიანს კინოს მაგიაზე უსასრულოდ შეუძლია ლაპარაკი (ჩანს, მაგიის მსახურება, მისნობა და მეზღაპრეობა წინა ცხოვრებიდან მოსდევს). ასევე ბევრი შეუძლია ილაპარაკოს ნამცხვრის რეცეპტებზე, ფიტნესზე და ქოთნის მცენარეებზე. სხვათა შორის, ამბობენ, შალის წინდებსაც კარგად ქსოვსო. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

აქაური ქვიშის ყოველი მარცვალი ღვთაებრივი ნიშნითაა აღბეჭდილი. აქ ყველგან მზეა, თუმცა კი ძალიან მცივა. მთელი სხეული ისე მექავება და ტანში მამტვრევს, თითქოს ჩემს კანქვეშ ათასობით მატლი დაცოცავს... ან იქნებ ღვთაებრივი ნაპერწკალი ღვივდება ჩემში? არცაა გასაკვირი. ეს წმინდა მიწაა. აქ ფეხუცმელმა უნდა იარო. ეს უდაბნო უფლის საელჩოა. უზენაესო, ძალიან მომწონს აქ, მაინც უმორჩილესად გთხოვ, წამიყვანე ამ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში,

სადაც ღვარად მოედინება თაფლი და ჰეროინი, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში. თუმცა ვიცი, რომ ამ უდაბნოდან ველარსად გავალ. თქვენ რას იტყვით, მისტერ კოვაჩ, გავალ? იქნებ არც უნდა გავიდე? იქნებ აქაა დაფლული ჩემი სამუდამო ბალიში?

ისე, რა ხდება, მისტერ კოვაჩ, რით ვერ შობეთ? რა გახდა ერთი კადრის დაყენება? მე მიყვარს აქაურობა, მაგრამ აქ სიკვდილი ნამდვილად არ მინდა. მე ლელვიც მიყვარს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პირველივე ლელვის ხეზე უთუოდ თავი უნდა ჩამოვიხრჩო. ძაანაც რომ მოვინდომო, ხედავთ აქ სადმე ლელვს? ისე, აქ არც მაყვლოვანია. თუმცა კი ტანით ვგრძნობ მამაჩემის ღმერთის, აბრაამის ღმერთის, ისაკის ღმერთის, იაკობის ღმერთის სიახლოვეს. ასევე ვგრძნობ, ვით ანათებს ჩემში მარადი სხივის ანარეკლი მზეებრ ბრწინვალე. ეს ციური ნაპერწკალია, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ცეცხლად გადიქცეს. ასე რომ, ფრხილად, მისტერ კოვაჩ! არ გირჩევთ ცეცხლთან თამაშს. დააყენეთ კადრი და გადავიღოთ კიდევ ერთი სცენა, კიდევ ერთი

საერთო ხედი, სადაც მონა ღვთისა ჰეროინის კრისტალისხელა გამოჩნდება.

ამბობენ, დიდი რეჟისორებისგან ხშირად გაიგონებთო ბრძანებას: "კამერა!" – რაც გადაღების დაწყებას ნიშნავს. დასჭყივლებს რომელილაც მაესტრო, და მთელი გადამღები ჯგუფიც უმალ ერთ ორგანიზმად იქცევა, ასობით წყვილი სინქრონულ ცეკვას იწყებს, ორკესტრი – რეპეტიციას, მეტეორიტი – ვარდნას, ხოლო ქვეითი ჯარი – შეტევით ბრძოლას. მაგრამ ჩვენი რეჟისორი დიდი არაა, მისნაირები მრავალ არიან და სახელი მათი ლეგიონია. ასე რომ, მისგან მსგავს ბრძანებას მალე არ უნდა ელოდე. არც ველოდები. მოლოდინი სხვა რამის მაქვს. კერძოდ – მზე როდის დამარტყამს, გათიშულს წამაქცევს და უდაბნოს ქვიშაც ნაპირზე ამოგდებული მედუზასავით დამადნობს და ჩამიწურავს. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა აუხდენელი. რადგან აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე წმიდა მიწა მიმიღებს მე, კოსტიუმირებულსა და ფხანაამტყდარს. მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ მსგავსი შიშები ჩემი ბავშვობაში მიღებული ტრავმების პროდუქტი

იყოს მხოლოდ. თუმცა რად მინდა მივწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს? ჩანს, ამ უდაბნოს მაინც ვერ გავცდები ვერასდროს. ეს მაგიური წრეა. ჩანს, ტყუილად არ ლაპარაკობს პატარა ლეგიონერი მაგიაზე. თქვენ რაღას იტყვით, მისტერ კოვაჩ, გავცდები, გავალ ამ წრიდან?

მარტო ჩემზე რომ იყოს, დიდი ხნის წინ გავიდოდი და პირველივე ტაქსით თბილისშიც გავფრინდებოდი. მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერჯერობით აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. ვინაიდან ეშმაკთან კონტრაქტი მაქვს დადებული, რომლის მიხედვითაც კიდევ 20000 მეკუთვნის. მრგვალი თანხაა, რაც გინდა თქვი. არც მეტი, არც ნაკლები, 20000 დოლარი – ესაა ჰეროინი, ბევრი ჰეროინი და აუდიენცია ღმერთთან. ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც შეგიძლია ჰეროინი შავი დღისთვისაც კი გადადო. ხოლო, როცა ჰეროინი შავი დღისთვის გადადებული გაქვს, რაღაცნაირად მშვიდად ხარ, როგორც ბებია, რომელმაც ზამთრისთვის მურაბა მოიმარაგა. ასეთ დროს ორი რამ აღავსებს სულსა და გულს სულ ახალი და მზარდი საოცრებით...

ჰეროინის კრისტალებით სავსე ჯიბეები ჩემს შარვალზე და მორალური კოდექსი ჩემში. ასეთ დროს ცარიელი მორალი ხარ, მოსიარულე იგავი და ზნეობრივი გაკვეთილი. შენი თვალები კი გამოცანებითაა სავსე, როგორც ბიბლია.

ახლა მაინც ხვდებით, რატომ ვითმენ, მისტერ კოვაჩ? ჰოდა, მეც ვდგავარ და ვიდგები კიდევ, ვიდრე პირში სული მიდგას. ლეგიონერის იმედი აღარ მაქვს, დიდი ხანია ხელი ჩავიქნიე. მაგას ურჩევნია, ისევ წინდები ქსოვოს. კინო მაგისი საქმე არაა. მაგრამ თქვენი კი გამკვირვებია. კადრის დაყენება რალა გახადეთ? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ მიწას ცეცხლი უკიდია? მე ჩემი ვთქვი. საკითხავია, თქვენ რატომლა ითმენთ ამ ხვატს? თქვენც პროდიუსერმა ხომ არ გადაგიბირათ? ასეა? მაშ, სწორად იქცევით, ცეცხლში რომ დგახართ, თქვენს მდგომარეობაში კაცი თანდათან უნდა დაუმეგობრდეს ჯოჯოხეთს.

| მე კი ბოდიში, მაგრამ სხვა სივრცეების ვარ ბინადარი. ჩათვალეთ, უკვე ჯიბეში მიდევს ერთწლიანი აბონემენტი ანგელოზების

ოპერაში. მე აქა ვდგავარ და ალბათ აქვე დავრჩები. აქ აშენდება ღვთის სახლი. ყოველ შემთხვევაში, ღვთის თუ არა, კაცის სახლი, რომელიც კეთილსინდისიერად პატივს სცემს ღმერთს. გესმით ჩემს გულში ჩანგისა და სტ-ვირის ხმა? ეს საიდუმლო სიმღერაა, რომელიც მსხვერპლშეწირვას იუწყება. რა გასაკვირია, ეს ხომ კურთხეული ადგილია. ეს უდაბნო უნივერსალური კვეთია, აბსოლუტური წერ-ტილი. უახლესი დროის შესაბამისად თუ ვი-ტყვით, ოფ-ლაინ ზონა. ციურ და მიწრიელ მნათობდა წრებრუნვის ზღუდე, ზესკნელისა და ქვესკნელის, კეთილისა და ბოროტის შეხ-ვედრის ადგილი.

და თუ ბოლომდე არ ჩავარდნილხართ ბუნდოვან ხიბლში, თუ ჯერაც არ მოგიწერი-ათ პროდიუსერთან საეჭვო კონტრაქტზე ხელი, შანსი კიდევ არის. მაშ, დროზე გა-აღწიეთ აქედან. გაიქეცით, მისტერ კოვაჩ, გაიქეცით! ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე ჩემი ჯვარი მაქვს. მე აქ უნდა ვიდგე. ჩემს ღმერთს მე აქ ვჭირდები. და ნუ შეძრწუნდება თქვენი გული, გწამდეთ ღმერთი, და მიწამეთ მე. და გარწმუნებთ, იოანე ოქროპირს, გრიგოლ ნა-

ზიანელსა და მაქსიმე აღმსარებელს ისე თავ-
გადაკლულთ არ დაუცავთ პაპის ინსტიტუტი,
როგორც მე დავიცავ ღმერთის უფლებებს. და
თუ ამ აღსარების შემდეგაც თქვენ იფიქრებთ,
რომ მე კომედიანტი ვარ (რაც არაერთხელ
ამომიკითხავს თქვენს გამჭრიახ თვალში), მა-
შინ, გამოდის, მე ღვთაებრივი კომედიანტი
ვარ. დაგავიწყდათ? ჩემში ხომ მარადი სხივის
ანარეკლი ელავს მზეებრ ბრწყინვალე.

არც ის დაივიწყოთ, რომ ეშმაკს არ ძინავს.
მთავარია, ხელი არაფერზე მოუწეროთ. თუ
ჯერ კიდევ არ გადაუბირებიხართ და არ შე-
გიკრავთ მასთან პირი, მაშ დახიეთ ყოველგ-
ვარი კონტრაქტი. და იფხიზლეთ, რამეთუ არ
უწყით, რომელ საათზე მოვა თქვენი უფალი.
პარალელურად თუ მარხვასაც შეინახავთ
და ცისკრის ლოცვებსაც იტყვით, მერწმუ-
ნეთ, ისიც აღარ დაახანებს. ნათელი მერმი-
სის საწინდარი, პირველ ყოვლისა, ლოცვაა.
ლოცვა და მარხვა. დარდი კი ნუ გექნებათ,
თუ არ იცით, ლოცვებს მე დაგასწავლით.
არც მაცხოვარმა უწყოდა, რომ ღვთის შვილი
იყო, სანამ სხვამ არ აუწყა და მტკიცედ შე-
ასმინა. ოღონდ გახსოვდეთ, თუ ბერძნულად

შეთხზავთ რასმე, უცილოდ უნდა ბაძავდეთ პლატონისა სიტყვასა, ლათინურსა წერილსა კი ციცერონისა ენას უფარდებდეთ. ოლონდაც, მისტერ კოვაჩ, ოლონდაც! წმინდანად, მეუდაბნოედ და რჯულის მოძღვრად არც მე ვშობილვარ, მაგრამ ზეცამ, რომელსაც ჩემი განებივრება სწადია, ერთადერთ სწორ გზაზე დამაყენა: უფლის აპარტამენტებისკენ მიმავალ კიბეზე. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ვლოცულობდი და მარხვას ვინახავდი. კიდევ იმიტომ, რომ ვფხიზლობდი. მართალია, ეს მხოლოდ ნაპერწკალია იმ დიადი სხივის, თუმცა არც კვამლი იცის უცეცხლოდ. მაშ, იფხიზლეთ, მისტერ კოვაჩ, და ციური ძალები მოვლენ თქვენს დასახმარებლად.

ერთსლა გთხოვთ, მალე დააყენეთ კადრი. ბარემ ეს სცენაც გადავიღოთ და ერთი ნაბიჯით წინ წავიწევთ ჭეშმარიტების გზაზე. ოლონდ პატარა ლეგიონერს შეეშვით, თუ ღმერთი გწამთ. ხომ ხედავთ, ჩაეძინა. მაგას ისევე უნდა კინოს გადაღება, როგორც ღორს სულის ცხონება. ამიტომ, ჩვენ ჩვენსას მივხედოთ. უფრო სწორად, თქვენ მიხედოთ, თქვენ უნდა დადგეთ მოწოდების სიმაღლეზე,

თორემ მე ისედაც აქა ვდგავარ. და ვიდგები კიდევ, სანამ არ დავეცემი. ოლონდ თვალღია. რადგან თქმულა: ღვთის სიტყვათა გამგებსა და უზენაესის ზრახვათა შემცნობს დაცემისას თვალები ღია უნდა ჰქონდეს. რათა დაინახოს ვარსკვლავი იაკობისგან ამოსული და კვერთხი ისრაელისგან ამომართული, რომელიც მოწყლავს მოაბის მთავრებს და გაანადგურებს შეთის მთელ მოდგმას.

ოლონდ ამის თაობაზე სიტყვა არავისთან დაგცდეთ, ჩემო მეგობარო! ნუ დაგვავიწყდება ძველთა სიბრძნე იგავად თქმული – ტყესაც და ველსაც აბიაო თვალი და ყური. პირველ ყოვლისა, პროდიუსერს ერიდეთ. ჰოი, რამდენი სიბრძნე გმართებთ იმის წინაშე, ვინც არა მარტო კაცთ საქციელს ამჩნევს და ხედავს, არამედ სულის უფსკრულებშიც ჰკითხულობს აზრებს. მაგალითი შეგიძლიათ ჩამგან აიღოთ. ხომ ხედავთ, მე თვით დუმილი ვარ. მიჭირს, მაგრამ ვითმენ. რაღაც ჩემზე ბევრად უფრო ძლიერი, ყოვლისმომცველი და უსაზღვრო თვინიერს მხდის. იქნებ, მარადიულ სივრცეთა უსასრულო დუმილი? მერე რა, რომ მცივა. გგონიათ, ცეცხლი მე არ

მიკიდია? როგორ ფიქრობთ, ცხელ ტაფაზე ყინულის კუბი რომ დადოთ, არ დადნება? – მაინც ვითმენ. და თუ გარეგნულად არაფერს ვიმჩნევ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტი ეჭვები არ გავაჩინო. ეს უუდიდესი გამოცდაა. ახლა მხოლოდ ჭირთათმენა და სიფხიზლე გმართებს. უნდა გაიარო ყველა გარსი ცრემლთა დილეგის. და თუ მოითმენ, იხარებს დიდად იერუსალემის ასული, დასცემს ყიჟინას იერუსალემის ასული, და უფალიც ნაყოფიერგყოფს შენი გაჭირვების ქვეყანაში საგზურით უფრო ვრცელი და მადლიანი ქვეყნისა, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და ჰეროინი, ხეთელთა, ამორეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყნისა.

თუმცა იქამდე კადრის დაყენებაა საჭირო. სცენის გადაღება, სადაც მონა ღვთისა შპრიცის წვერის სისხო გამოჩნდება. ილოცეთ, მისტერ კოვაჩ, მხოლოდ გულში, ოღონდ მხურვალედ და მონდომებით, და თქვენი ყოველგვარი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდება და თქვენი სახელიც საქვეყნოდ გახმიანდება. დიდი ძალა აქვს ლოცვას. მარტო ალექსანდრ ჰოჰენლოეს მაგალითი რად ღირს, რომელიც

მხოლოდ ლოცვების ძალით კურნავდა ავადმყოფებს! ასე რომ, უმჯობესია, თქვენ კადრის დაყენებაზე ილოცოთ, მე კი მამაჩემის სულის ცხონებისათვის ვილოცებ.

აქ ხშირად მახსენდება მამაჩემი. საკმარისია პატარა ნიუანსი, შორეული ასოციაცია – და უცბად მამა თვალწინ მიდგება. ბოლო დროს იმასაც ციოდა. პლედში ყელამდე შეფუთვნილი შალის ნაქსოვ ქუდს თვალებამდე ჩამოიწევდა, აივანზე გავიდოდა და სკამში ჩამჯდარი საღამომდე მზეს ეფიცხებოდა. მხოლოდ თხელი კეხიანი ცხვირი უჩანდა. მზერით თუ შევხვდებოდით ერთმანეთს, უთუოდ თვალს ჩამიკრავდა, ვითომ კარგ ხასიათზე ვარო. არ გამოსდიოდა. ძალიან დაღლილი იყო საიმისოდ, რომ რამე გამოსვლოდა. მისი ორგანიზმი თანდათან გამოდიოდა მწყობრიდან, როგორც ძველი მანქანა. თან პატარავდებოდა, თითქოს მის მოცულობას, კონტურს ვიღაც უხილავი საშლელით უმოწყალოდ შლიდა. უკვალოდ უქრებოდა მხრები, კუნთები, კბილები, ძვლები... ეგ იყო, მუცელი ებერებოდა უსაშველოდ, როგორც ორსულს. ბოლოს მარტო მუცელიღა იყო (მხედველობაში თუ

არ მივიღებთ ჩიტივით თავს და ძალიან დაღ-
ლილ თვალებს). ვეება სითხით სავსე ბუშტი.
შიგნით ღრმად კი რალაც იჯდა, რაც ჯიუტად
მთელ სხეულში დგამდა ფესვებს, როგორც
ქოთანში ყვავილი. ყვავილი კი მზეს ითხოვდა.
და მამაც ასრულებდა ამ თხოვნას, როგორც
კეთილი მებაღე, პლედში შეფუთვნილი მთე-
ლი დღეები მზეზე იჯდა.

მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ
ქვიშაზე ჰეროინი მახსენდება, ხოლო ჰეროინ-
ზე – შპრიცი, შპრიცზე კი – მამაჩემი. ალბათ
იმიტომ, რომ მორფს რეგულარულად მე ვუ-
კეთებდი ვენაში, დღეში 3-ჯერ. ასოციაციათა
ეს ჯაჭვი კიდევ გასაგებია. მაგრამ სრულიად
გაუგებარია, მამაჩემზე რატომ მახსენდება
როკ-ენ-როლის მეფე ელვისი. მამა კუბოში
რომ ესვენა, მახსოვს, მაშინაც კი სულ მე-
გონა, ეხლა-ეხლა წამოხტება თეთრ ტყავის
კოსტიუმში გამოწყობილი მსუქანი ელვისი
და ამღერდება-მეთქი. და ახლაც, ამ ქვიშას
რომ ვუყურებ, სულ მგონია, რომ საიდანღაც
ლიმუზინივით კუბო უნდა შემოცურდეს, რო-
მელშიც მსუქანი და ოფლიანი ელვისი იდგება
გიტარით ხელში. შეიძლება ასოციაციათა ეს

ჯაჭვი იმიტომ მახსენებს ელვისს, რომ ისიც ჰეროინით ერთობოდა? შეიძლება ჩემს ტვინს სინამდვილეში დოზა უნდა და წარმოსახვაც ამიტომ იხსენებს განურჩევლად ყველაფერს, რაც პირდაპირ თუ ირიბად ჰეროინს უკავშირდება? ალბათ ასეა. თორემ ბუგი-ვუგი მეც შემიძლია დილამდე. დოზა რომ გაგითავდება, ისე აცეკვდები, როგორც მომართული შიიტი შაჰსეი-ვაჰსეის დროს. უფრო ზუსტად, ასეთ დროს ყველაფერზე წახვალ. მზად ხარ, თუნდაც პავლე მოციქულს დაუესემესო. მაგრამ რაღაც გაჩერებს. ალბათ უფრო ის, რომ პავლე მოციქულის მობილურის ნომერი არ იცი. რომ იცოდე, რა გაგაჩერებდა?

ამიტომ ვდგავარ აქ. კიდევ იმიტომ, რომ კადრი ვერ დაგიყენებიათ, მისტერ კოვაჩ. რაც სერიოზულად მაფიქრებს, პროდიუსერმა მართლა ხომ არ მოგიქონათ თავი. თუ ასეა, საკითხავია, ისეთს რას დაგპირდათ. არის რამე ისეთი, რაც მე არ ვიცი? რაღაცას ვერ ვხვდები. გამოდის, ჩვენ ფილმს კი არ ვიღებთ, არამედ ვითომ ვიღებთ. მაგრამ რატომ? იმდენად გულუბრყვილოც არ ვარ, ის დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემს საცდუნებლად

კეთდება, რომ გულში უარვყო ჩემი ღმერთი და პროდიუსერთან ახალ კონტრაქტზე მოვაწერო ხელი. ისე, ახლა ისეთ დღეში ვარ, ერთი ინექციის გამო, ხელს ყველაფერზე მოვაწერ, თუნდაც იმაზე, რომ შექსპირი უკვდავია. შემდეგ კი... ალილუია! შემდეგ – უფლის სადიდებელ ჰიმნებს ვიგალობებ, ვიქნები მამა ჩანგისა და სტვირის დამკვრელთა, ლოტბარი ანგელოზთა კაპელისა... ინექციის შემდეგ როგორლაც ყველაფერს ახერხებ, თუნდაც ტელეხიდს იოანე მახარებელთან. ეს ინექციაც აღარ იქნება, არამედ ინდულგენცია. ცოდვების მიტევების სიგელი. ძარღვი სიტკბოსა და ფესვი სიყვარულისა. საყოველთაო ზავი და მშვიდობის მემორანდუმი.

ბარემ აქვე მინდა ვთქვა, რომ, რაც უნდა მოხდეს, კონფესიის შეცვლას და, მით უფრო, ჩემი ღმერთის უარყოფას არ ვაპირებ. მაგრამ ერთი კითხვა არ მასვენებს. თუ ჩემი ღმერთი ხედავს ჩემს წვალებას, რატომ არაფრით მშველის. ნუთუ გამძლეობასა და მედეგობაზე მცდის? – დავუშვათ. თუმცა ამ შემთხვევაში ეშმაკის საქციელი როგორღა უნდა გავიგოთ, ფულს იგი იმისთვის მიხდის, რომ შემდეგ ჩემი ღმერთის სადიდებელი ჰიმნები ვთქვა?

ვიცი, ჩემს ამ ჭოჭმანს უთუოდ ჰეროინს დააბრალებთ. ვფიქრობ, უკვე აბრალებთ. ისე, მეც ჰეროინს დავაბრალებდი, მაგრამ... ყველაფერი პირიქითაა, კერძოდ – უჰეროინობის ბრალია. მხოლოდ და მხოლოდ უჰეროინობის. დარწმუნებული ვარ, რომ იცოდეს უზენაესმა, როგორ მჭირდება მე იგი, როგორ ვსაჭიროებ მე მას, უთუოდ პირად ფერიას მომიჩენდა – თეთრხალათიანსა და ცისფერთვალება ციურ მედდას, ერთგვარ ფრთოსან შპრიცს, მძინარე ბავშვივით კისერში რძის სუნით, რომელიც ყოველ დილა-საღამოს ჩემთან მერცხალივით მოფრინდებოდა, ერთს უმტკივნეულოდ მიჩხვლეტდა და უკანვე გაფრინდებოდა.

ყველაფრის მიუხედავად, რატომღაც მჯერა, რომ მეუფეთა მეუფემ კარგად იცის ეს ამბავი. ჩემზე უკეთ იცის. მჯერა, რომ ის წამი ახლოვდება, როცა ზეციური პარლამენტი კენჭს უყრის სპეციალურ კანონს, რომელიც ჩემზე ცისფერთვალება ფერიის მომაგრებას ითვალისწინებს. რომ მოციქულთა კაბინეტმა უკვე განიხილა და მოიწონა ეს კანონი, თავისი რამდენიმე მუხლითა და ქვემუხლით. ყოველ შემთხვევაში, კულუარებში ასე ამბობენ.

კულუარებში კი არ ცდებიან. ბოლო სიტყვა პარლამენტზეა. ბიჭებო, ახლა თქვენზე ისეა ზეცის საშინაო და საგარეო იმიჯი დამოკიდებული, როგორც არასდროს. მთავარია, არ ჩაიჯვათ! მე არ ვარ რეალისტი და, შესაბამისად, არ ვითხოვ შეუძლებელს. მხოლოდ და მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ არ ჩაიჯვათ. ნუთუ ეს შეუძლებელია?

მხოლოდ გახსოვდეთ, უპოვართა და უსახლკაროთა, ასევე მეძუძურთა, კულტურისტთა, ომის ვეტერანთა და სექსუალურ უმცირესობათა ყურადღება ახლა თქვენზეა მოპყრობილი. ეფესელი ყრმანი და მათი წამება გახსოვთ? ჰოდა, მათი სახელით მოგმართავთ მე, იმ ყრმათაგან ერთ-ერთი. კერძოდ, უკანასკნელი, პოეტი და წამებული. იცოდეთ, თქვენი იმედი მაქვს. თქვენი იმედი აქვთ უპოვართაც, ასევე ხუროთმოძღვრებს, სიმულანტებს და ფანატიკოსებს. ღრმად გვწამს, რომ ერთ პატარა ფერიას მომამაგრებთ. ნეტარ არიან მორწმუნენი.

ნეტარ ვიქნებოდი მეც, ჰეროინი რომ მქონდეს. ნეტარ ვიქნებოდი, თუნდაც არ მქონდეს,

მაგრამ თელავში იშოვებოდეს. საღამომდე რამენაირად მოვითმენდი. ეგაა, თელავში ჰეროინს ვერ იშოვი. იშოვი ყველაფერს, ჰეროინის გარდა. არადა, როგორი აუცილებელია ახლა ჩემთვის ერთი ინექცია! აუცილებელია არა მარტო ფასონის, არამედ საჭიროების გამო. ვაი, შენ, თელავო! ვინაიდან ტვიროსსა და სიდონში რომ მომხდარიყო ის, რაც შენთან ხდება, ისინი დიდი ხნის წინათ ძაძებში და ნაცარში მოინანიებდნენ. მაგრამ გეუბნები შენ: ტვიროსსა და სიდონს უფრო გაუადვილდებათ განკითხვის დღეს, ვიდრე შენ.

ბარემ, ვიდრე ციური პარლამენტი ახალ კანონს უყრის კენჭს, ხომ არ აჯობებდა, უფრო ღრმად გამოგვეკვლია ზევით წამოჭრილი თემა და რამდენიმე შეკითხვისთვის პასუხი გაგვეცა. კერძოდ, მიხდის თუ არა ეშმაკი ფულს, რომ შემდეგ ჩემი ღმერთის სადიდებელი ჰიმნები ვთქვა? – მიხდის. ჩამომიყვანა თუ არა მანვე აქ, უმანკო ჩასახების მამათა სავანეში? – ჩამომიყვანა. მომცა თუ არა შანსი, ჩემს ჭეშმარიტ ფესვსა და ძირს ანუ ქრისტეს რწმენას დავბრუნებოდი? – მომცა. შემიქმნა თუ არა საუკეთესო პი-

რობები საიმისოდ, რომ ჩემს ღმერთს უფრო დავუახლოვდე? – შემიქმნა. შემიწყო თუ არა ხელი, რჯულის მოძღვრად და მეუდაბნოედ დავმდგარიყავი? – შემიწყო. მეხმარება თუ არა, რომ ვიფხიზლო, რათა არ გამომეპაროს ჩემი ღმერთის მოსვლის საათი? – მეხმარება. დაბოლოს, ვისი, თუ არა ეშმაკის შემწეობით მოხდა, რომ ჩემში ღვთაებრივი ნაპერწკალი აენთო? რომელიც, სხვათა შორის, ყოველ წუთს შეიძლება ცეცხლად გადიქცეს. ამ შემთხვევაში ჩემი ღმერთი რას აკეთებს, მცდის? შეუცნობელი როა გზანი უფლისანი, მეც ვიცი. თუმცა ასევე ვიცი, რომ ყველაფერი უფლის ნებაა.

დოგმატიკაში, ეგზეკეტიკასა და აპოლოგეტიკაში შეიძლება ვერ ვერკვევი, არც სტენოგრაფიულად ჩაწერილი საეკლესიო ქადაგებებისთვის მისმენია, რის გამოც ჩემი მოკლე ჭკუა შეიძლება არ ეყოს ამ თეზისების კვლევას, თუმცა ეს ორი დებულება სრულიად შეუთავსებელნი რომ არიან, ამას ბავშვიც მიხვდება. ბავშვის პირით კი ჭეშმარიტება ღაღადებს. ჰოდა, ჩვენც ბავშვურად განვიხილოთ საგანი. რასაკვირველია, შეიძ-

ლება ვთქვათ, რომ პირველი ამყარებს მეორეს, და პირიქით, მეორე – პირველს. თუმცა იმავე წარმატებით საპირისპიროს მტკიცებაც შეიძლება. რომ პირველი უარყოფს მეორეს, და პირიქით, მეორე – პირველს. ესეც ორი ურთიერთგამომრიცხავი თეორემა. გნებავთ, თეზა და ანტითეზა.

იმიტომ, რომ, თუკი შეუცნობელია გზანი უფლისანი, ესეიგი უფალი ისეთ სვლებს აკეთებს გროსმაისტერივით, რომელთაც ჩვენ ვერ შევიცნობთ ანუ გვაბნევს და თავგზას გვირევს. ეს კიდევ შესაძლებელია. მაგრამ სრულიად შეუძლებელია მეორე, ანუ ყველაფერი მისი ნება იყოს. კერძოდ, ქრისტიანული თეოდიცეა პირდაპირ ამბობს, რომ: ბოროტება კი არსებობს, მაგრამ ღმერთი არაფერშუაშია. რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის მეორე თეზასთან. თუ არა, გამოვა, რომ ბოროტებას იგი, მართალია, არ ჩადის, მაგრამ (დიდი ამბავი) ბოროტება მაინც არსებობს. რაც სრულიად უარყოფს მისი ყოვლისშემძლეობის იდეას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ, ეშმაკი რაღაც მნიშვნელოვანი ფიგურა კი არ ყოფილა, არამედ უბრალო

ტიკინა, და ისიც ღმერთის თეატრში თამაშობს, უბრალოდ როლი აქვს წვრილფეხა მეამბოხისა. რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სხვანაირად ბოროტებაც ღმერთს მიეწერება. ღმერთი კი მხოლოდ ქველი და მოწყალე შეიძლება იყოს, მწყემსი კეთილი, რომელიც თავს დადებს თავისი ცხვრებისთვის.

შეიძლება ვაჭარბებთ, შეიძლება არ ეგების, რადგან საკითხის ასეგვარად დაყენება უთუოდ ეშმაკეულთან მიგვიყვანს. თუმცა მივედით და ესაა. უფრო სწორად, პირველად სწორედ ეშმაკმა მიგვიყვანა უფალთან, ამ უკანასკნელმა კი კვლავ პირველთან დაგვაბრუნა. ანუ წრე შეიკრა. მერედა სად ჩანს აქ ჩემი ნება და ინიციატივა? ასე ხომ თავისუფალი აღარ ვარ, არამედ თოჯინა, სხვისი ნების აღმსრულებელი ბიორობოტი. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ვიფიქრო, რომ რაც გამიკეთებია, რასაც ვაკეთებ და კიდევ გავაკეთებ, ყველაფერი ღვთის ნება იყო, არის და იქნება?

აი, რატომ მიყვარს ჩემი ღმერთი. რაოდენიც უნდა იარო, ყველა გზა მაინც მასთან მ...

გიყვანს. უბრალოდ განწირული ხარ წარმატებისთვის. უფრო მეტი, სიარულიც არ გინდა, უკვე მის სახლში ხარ, რამეთუ ყველგან მისი სახლია. მთავარია, ამას მიხვდე. არადა, ისე გირევს გზა-კვალს, ისე გაბნევს, გეგონება, სასწრაფოდ თუ არ დაიყარე თავზე ნაცარი, მარხვით ხორცი არ დაიმჭლევე და ცისკრის ლოცვებით მუხლის მყესები არ გაიმკვრივე, სამუდამოდ დაიღუპები და შთაგაგდებენ ჯოჯოხეთის ბნელ ჯურღმულებში, სად სიმონ მოგვი განისვენებს მუცლით მეზღაპრე. ნურას უკაცრავად. შეუძლებელია ღმერთმა ასე გაგწიროს. რადგან ყველაფერი მისი ნებაა, თვითონ კი უსასრულოდ მოწყალეა და ქველი. თან ის ყველგანაა. ცაში და მიწაში, ცეცხლსა და წყალში, ბალახსა და ქვაში, ქვიშასა და ჰეროინში... ამიტომ მიყვარს იგი. ყველა გზას მასთან მიყავხარ. ამიტომ მახსენებს ჩემი ტვინი ყველაფერს, რაც პირდაპირ თუ ირიბად ჰეროინს უკავშირდება. ამიტომაც მახსენდება ქვიშის დანახვაზე ჰეროინი, ჰეროინზე – შპრიცი, შპრიცზე – მამაჩემი, მამაჩემზე კი – ელვისი. რათა წრე შეიკრას და ელვისიდან ისევ და ისევ ჩემს ღმერთს დავუბრუნდე. ყველას და ყველაფერს ღმერთის ნიშანი აზის.

ყველა და ყველაფერი ღმერთის სინონიმია. მამაჩემიც ღმერთია, ელვისიც ღმერთია, ჰეროინიც ღმერთია, ეშმაკიც ღმერთია.

ვერ ვიტყვი, მეც ღმერთი ვარ-მეთქი. სამაგიეროდ ვიტყვი, რომ ჩემი პირით უფალი ღაღადებს, ლაპარაკობს, მღერის... რატომღაც ასე მგონია და ვგრძნობ. მღერის ის, მე კი მხოლოდ პირს ვაღებ, ვითომ ვმღერი. ყველაფერში მისი ხელი ურევია. ყველაფერი მისი ნებაა. ისიც, რომ ცუდად ვარ, და ისიც, რომ მალე კარგად ვიქნები, რადგან მასთან მივალ. ისიც, რომ აქა ვდგავარ. და ვიდგები კიდევ, ვიდრე მას ნებავს ასე. აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

შვიდი ბრძენი

ადრიანი დილაა. მზე დროდადრო ღრუბ-
ლებს ეფარება. კი არ ეფარება, თითქოს ნეო-
ნის მოშლილი ნათურასავით ციმციმებს. უც-
ბად ბნელდება და უცბად ისევ გამოანათებს
ხოლმე, როგორც სტრობოსკოპი დისკოთე-
კაზე. მარტო მუსიკა არ ისმის. თბილისის
ქუჩები ხალხითაა სავსე. ყველანი ერთი მი-
მართულებით მიდიან, ქალაქის ცენტრისკენ.
ანუ თავისუფლების მოედნისკენ, როგორც
დემონსტრანტები ან ზღაპრული სალამუ-
რის ხმას აყოლილი ვირთხები. ნელი, მოზო-
მილი ნაბიჯით, თითქოს მარშირებენ. თუმცა
არც ლოზუნგები უჭირავთ და არც შეძახი-
ლები ისმის. ბავშვებს ბუშტები ძაფზე აქვთ
გამობმული. შავი, სარკესავით პრიალა ბუ-
შტები. რეზინის კი არა, პლასტმასის გეგო-
ნება. ხალხის თავზე მარტო ეს შავი ბუშტები

ჩანს. თან ბუშტები სულ ოდნავ ვიბრირებს. თითქოს ყოველ მათგანში თითო არსება ზის, რომელიც ეს-ესაა ნაჭუჭს გამოამტვრევს და გარეთ გამოვა.

ძაფი თითქოს წვრილი კაბელია. ბუშტების ვიბრაცია როგორღაც ბავშვებს გადაეცემათ, ბავშვებიდან უფროსებს. გეგონება, ყველა და ყველაფერი ერთიერთმანეთზეა გადაბმული. ხალხი, ასფალტი, ხეები, კორპუსები, მზეც კი, ბუშტებთან უნისონში ვიბრირებს.

არავინ ლაპარაკობს, მხოლოდ ნაბიჯის ხმა ისმის. ხალხში მივძვრები. თავიდან წყნარად, ბოდიშის მოხდით, მაინც დანარჩენებზე ოდნავ სწრაფად მივიწევ წინ. მალე ისეთ აზარტში შევდივარ, რომ აღარაფრის მერიდება. ხალხს ხელებით განზე ვწევ. ერთი მიზანი მაქვს. მინდა, ყველას გადავასწრო. არც მხრის გაკვრას ვერიდები და არ ფეხზე დაბიჯებას. არავინ მაჩერებს, არც მლანძღავს. უსიტყვოდ გვერდზე იწევიან. საგანგებოდ ვიწრო დერეფანსაც მიკეთებენ.

დერეფანში თავიდან სწრაფად მივრბივარ, მაგრამ მალე ვხვდები, რომ სუნთქვა ბოლომდე არ მეყოფა. სირბილი კი დიდხანს მომიწევს. ვცდილობ, თანაბრად ვისუნთქო, რო-

გორც დიდ დისტანციაზე მორბენალმა. თუ სწორად მახსოვს, ამ საქმეში ეთიოპიელები არიან პირველები.

თუმცა დერეფანი მალე თავდება, მეც უნებურად ხალხის მიერ გაკეთებულ წრეში შევრბივარ და მექანიკურად ვჩერდები. ადრე აქ ლენინის ძეგლი იდგა.

წრის გარშემო მდგარნი თავით ფეხებამდე მოურიდებლად მათვალიერებენ. გრძელი, მოცისფრო-მორუხო პალტოები აცვიათ. აქაიქ შავიც ჩანს. გვიანი შემოდგომაა, ბავშვები მაინც საზაფხულოდ არიან გამოწყობილნი. როგორც უნიფორმა, ყველას ლილისფერი მოკლე შარვალი ან კაბა აცვია. მუხლებამდე თეთრი გეტრები და ხორცისფერი სანდლებიც. ხმას არავინ იღებს. ხალხის თავზე მხოლოდ შავი ბუშტები ჩანს. ყველაფერი ოდნავ შესამჩნევად ვიბრირებს. ან ციმციმებს, როგორც უხარისხო გამოსახულება ტელევიზორის ეკრანზე.

წრეში მარტო ვდგავარ. ძლივს ვსუნთქავ. მუხლები მიკანკალებს. ერთთავად გაოფლილი ვარ. სველი პერანგი ტანზე მეკრობა. ხმას ისევ არავინ იღებს. რაღაცას ელოდებიან ჩემგან. აინტერესებთ, რას ვიტყვი. რაღაც რომ უნდა ვთქვა, ამას მეც ვხვდები.

ამ დროს ხალხში პატარა ჩოჩქოლი ტყდება. კაცები გვერდზე იწევიან და ვიღაც საშუალო სიმაღლის ტიპს ატარებენ. იგი წრეში ჩქარი ნაბიჯით შემოდის, თითქოს მოცეკვაობს, ჩემს გვერდით დგება. მისი პატარა არგენტინული ულვაში ფანქრით მიხატული გეგონება. სახე გეიშასავით თეთრად აქვს გაპუდრული, მომუწულ ტუჩებზე წითელი პომადა უსვია. შენიღბვის მიუხედავად, მაშინვე ვცნობ შვიდ ბრძენთაგან[1] ერთ-ერთს. ლამაზი თვალები აქვს – დიდი, შავი, მოუსვენარი. როგორც კონფერანსიე, ხელებს იფშვნეტს, ვითომ იმშრალებს, მერე მუშტში ახველებს. დიდი არაფერი, ჩვეულებრივი სტანისლავსკის სისტემაა.

წვეტიანი შავი ლაქის ფეხსაცმელი აცვია, რომელიც პიანინოს კლავიშივით პრიალებს. შავი ფრაკის კუდი ლამის მიწას წვდება. ნაღვლიანი გამოხედვა აქვს. ჯერ მე მიკრავს თავს – მოკლედ, ყალბი პატივისცემით. შემდეგ ტრიალდება და ოთხივე მხარეს სათითაოდ

---

[1] ძველბერძნულ ინტელექტუალურ ტრადიციაში ისტორიულ პირთა ჯგუფი (7 – 6 ძვ. ნ.): თალეს მელითელი, პიტაკუს მიტილენელი, პერიანდროს კორინთოელი, კლეობულოს ლინდოსელი, ბიასოს პრიენელი, ჰილომუს ლაკედემონელი, სოლონუს ათენელი.

იხრება. თითქოს პუბლიკას კი არა, დედამიწის პოლუსებს აძლევს სალამს. ამაზე ყველას ეცინება. ჩემს გარდა. ვერ ვხვდები, რა არის ამ იაფფასიან ვოდევილში სასაცილო. ყოველი მხრიდან ყიჟინა ისმის. პუბლიკის დასაწყნარებლად ბრძენი ხელს წევს. ხმაური ქრება, ყველა სმენადაა ქცეული.

– ქალბატონებო და ბატონებო, – ბრძენი ჯერ მე მზომავს თავისი ბრძნული თვალით, შემდეგ ხალხს უტრიალდება, – ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ბუშტი!

ამის თქმა და პუბლიკის აფეთქება ერთია. ყველა ხარხარს იწყებს. ბებიები ცვირსახოცებს იფარებენ უკბილო პირზე, მომჩვარული ლაბაბები ინდაურის კისრებივით უთამაშებთ. აფრუტუნებულ კაცებს ნესტოები ებერებათ. ვილაც ხელჯოხს ასფალტზე აკაკუნებს. ბავშვები სიცილისგან იგუდებიან, მუცლები ხელით უჭირავთ. ასობით შავი ბუშტი ცაში მიფრინავს. მზე ისევ ციმციმებს, მოშლილი ნათურასავით. ვილაც ბაბუას კბილის პროტეზი უვარდება პირიდან. როგორც მულტფილმში, პროტეზიც მექანიკური ბაყაყივით იწყებს ხტუნვას. ბრძენი აქეთ-იქით იხედება,

თითქოს ეშინია, პროტეზმა არ უკბინოს, და უცბად პუბლიკისკენ გარბის.

წრე თანდათან ვიწროვდება, ხალხი ჩემსკენ მოდის სიცილ-ხარხარით. ეს პუბლიკა აღარაა. რაც გინდა ისაა, პუბლიკის გარდა. ცუნამი, ტაიფუნი, წარღვნა... სტიქია, ყველაფერს ქინძისთავივით რომ ყლაპავს თავის გზაზე. აღარავინ იცინის. მძიმე, დაღლილი სახეები აქვთ. ყველა მხრიდან მეკრობიან. პირდაპირ სახეში მასუნთქავენ. მალე ალბათ სულ გამსრესენ. ან ორთქლში მოვიხარშები, როგორც კატლეტი. ძლივს ვსუნთქავ.

– კარები იკეტება, – აცხადებს ვილაც პედერასტული ხმით, – შემდეგი გაჩერება "ავლაბარი".

კარები მართლაც იკეტება – დგანდგარით, გრუხუნით. ლოკომოტივი მძიმედ ირწევა. მალე გვირაბში ისე მიექანება, რომ წნევისგან ყურები მიგუბდება. მძიმე ჰაერია – თბილი ოფლის, ჭუჭყის და ხახვის სუნი ერთმანეთშია არეული. მოშლილი ნათურა საბოლოოდ ქვრება და უცბად ბნელდება. ვაგონში მხოლოდ დაორთქლილი ფანჯრებიდან აღწევს დროდადრო გვირაბის კედლებზე ჩამწკრივებული პლაფონების მქრქალი შუქი. ასეთ

დროს ჭერზე უცნაური ფიგურები ჩნდება, ჩინური ჩრდილების თეატრში გეგონება თავი.

დიდ ხანს მივდივართ. დგომისგან ფეხები მიბუჟდება. ბოლოს სულ ვეღარ ვგრძნობ, თითქოს ამპუტირებული მაქვს. ვფიქრობ, ალბათ აღარასდროს გავჩერდებით-მეთქი, რომ მატარებელი დათქმულივით, მთელი კორპუსის ღრჭიალითა და წუილით მკვეთრად ჩერდება.

– "ავლაბარი", – იგივე ხმა აცხადებს და კარებიც ისევე გრუხუნით იღება.

უცბად შემოვარდნილი შუქი წამით მაბრმავებს. ხალხის მორევს გარეთ გავყავარ. თუმცა თვითონ მორევი უკვალოდ ქრება, როგორც ქვიშა თითებს შორის.

ირგვლივ ისედაც სულ ქვიშაა, მოთეთრო-მოყვითალო. აქ კიდევ უფრო ცხელა, ვიდრე ვაგონში. განსხვავება ისეთივეა, აბანოდან პირდაპირ ღუმელში რომ შეგსვან. ოდნავი ნიავიც კი არ იძვრის. უსასრულო დიუნები მოლივლივე ჰორიზონტისკენ მიიკლაკნება და იქვე იკარგება. თეთრი მზე მაგრად აჭერს.

მთელ უდაბნოში ერთადერთი შენობა დგას – დიდი ციხესიმაგრე. უცნაურად ყვითელი, თითქოს გახუნებული კედლები აქვს. ქვიშის-

გან შეიძლება ვერ გაარჩიო. ჩემგან საკმაოდ შორსაა. შეუსვენებლად თუ ივლი, საღამომდე ალბათ მიაღწევ. თუმცა ჩემთვის ნაბიჯის გადადგმაც საკმარისია. პატარა ნაგებობა ყოფილა. "ლეგოს" კონსტრუქციისხელა. შენობაში ცხოვრება მაინც დუღს და გადმოდუღს.

ციხის წინ ქვიშაში ვჯდები, შენობას ვათვალიერებ. ცენტრალური ფორტიდან, რომელიც ჩვეულებრივ ყაზარმას გავს და ერთმანეთისგან დაშორებული ფანჯრები და ამბრაზურები აქვს, ორი ქონგურებიანი კედელი გამოდის. მოყვითალო კედლები გვერდითა რედუტებს ფორტთან აერთებს. მთავარი შენობის გასწვრივ, კედლებისა და ბასტიონების თავზე, ათობით შაშხანიანი გუშაგი დადის დინჯი ნაბიჯით. მათი მუნდირები სრულ წესრიგშია, ხიშტები – გაპრიალებული. საიდანღაც საყვირის ხმა ისმის. ეს არაა საომარი სიგნალი, მესაყვირე ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს. არტილერისტები ზარბაზნებს და ტყვიამფრქვევებს დასტრიალებენ. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს. ციხესიმაგრე სრულ საომარ მზადყოფნაშია. ესენი რაღას ელოდებიან, ხოჭოთა ურდოებს თუ კალიების ლეგიონს?

ერთ-ერთ ფანჯარაში კაბინეტი ჩანს, როგორც ხელისგულზე. მეორე თითისტოლა

ბრძენი წინ და უკან დადის. მაგიდიდან ფანჯრამდე, და პირიქით. ზეთისხილისფერი მუნდირი აცვია. პირში ჩიბუხი უდევს. ჭოგრიტი კისერზე კიდია. დროდადრო ფანჯარასთან ჩერდება. ჭოგრიტი თვალთან მიაქვს, უდაბნოში ერთ წერტილს ყურადღებით აკვირდება. მის ფუსფუსზე მეცინება. შენ რაღას უყურებ, ხოჭოს თუ ჭიანჭველას?

თურმე მე მიყურებს. მე თვითონაც გარკვევით ვხედავ, რომ კიბეზე ნელა ავდივარ. ყოველ ნაბიჯზე ვჩერდები და ვაყურადებ, ვინმე ხომ არ ამოდის. თუმცა კიბე ცარიელია. ყველა კარი დაკეტილი. მეორე სართულზე მხოლოდ ერთია ღია, ცარიელ ბინაში მღებავები მუშაობენ. ფეხაკრეფით ავდივარ, მაგრამ უშედეგოდ. ხის ძველი კიბე ლამის სულ დამპალია, საზიზღრად ჭრიალებს. მესამე, მეოთხე... მეექვსე, მეშვიდე... აი, მერვე სართულიც. აი, ის კარიც. ყველაფერი სწორია: მე-8 სართული, მე-9 დერეფანი, ბინა 41, ოთახი 302. ჩამიჩუმი არ ისმის.

ზარს ვრეკავ. მგონი, ფარდის ჩუმი შრიალი და იატაკის ჭრიალიც მესმის. თითქოს მეორე მხრიდან კარზე ყური აქვთ მოდებული. სადღაც ონკანია მოშლილი. წყლის კაპაკუპი ისმის. ისევ ვრეკავ. უფრო ხანგრძლივად.

კარი ოდნავ იღება. სიბნელიდან ორი უნდო ელამი თვალი მიყურებს. უცბად სახელურს ჩემკენ ვექაჩები და ოთახში შევდივარ. მესამე ბრძენი შეშინებული განზე ხტება. რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ დაბნეულობისგან თუ მოულოდნელობისგან სათქმელს ვერ პოულობს. მხოლოდ დიდი, ბრუციანი თვალებით მიყურებს, დასვრილ ხელებს წინსაფარზე იწმენდს.

ოთახიდან სამზარეულოში გავდივარ. მაგიდაზე რძით სავსე თასი დგას. რძეში წითელი ჟოლო ტივტივებს. გვერდით ხის ფიცარი დევს. ფიცარზე – გაპუტული ქათამი და შავტარიანი სეკატორი. გაზზე შედგმულ ჯამში რაღაც საზიზღრობა თუხთუხებს. გზად შარვლის ჯიბიდან კინდერ-სიურპრიზს ვიღებ. ფერად ფოლგაში შეფუთული ჩვეულებრივი შოკოლადის კვერცხია. ეგაა, რომ ოდნავ დიდი ზომისაა. უფრო ზუსტად, კვერცხი ჩემს ხელშივე იზრდება. ის უკვე სირაქლემის კვერცხისელაა, რომ ფოლგას ვაფცქვნი და შოკოლადს შუაზე ვხსნი. შიგ ერთობ საინტერესო საგანი დევს. ვუნდერკინდერ-სიურპრიზი. მგონი ადრეც მინახავს. ან წამიკითხავს. ან ორივე ერთად. ესაა პლასტმასის, ლატე-

ქსისა და რეზინისგან დამზადებული რაღაც ხელსაწყო. პლასტმასის მოკაუჭებული, ლატექსგადაკრული სამი მარწუხითა და შუა ნაწილით, რომელშიც პლასტმასისვე მილი ანტენისებურად თავისუფლად მოძრაობს. კორპუსი რეზინის ბუშტით ბოლოვდება. მთელი ეს კონსტრუქცია სიდიდით თხუთმეტიოდე სანტიმეტრი თუ იქნება. ბრძენს ვუწვდი.

– ეს რა არის? – მეკითხება.

– ხელოვნების ნიმუშია... უფრო ზუსტად, უცხოს ყბის მექანიკური ასლი. გინახავთ ფილმი "უცხოები"? – თვითონაც არ ვიცი, რას ვბოდავ. მაგრამ ახლა მთავარია, ბრძენმა ყურადღება საგანზე გადაიტანოს. – იქ არიან ასეთი არამიწიერი წარმომავლობის ქმნილებები, რომლებსაც სხეულში სისხლის მაგივრობას მჟავა უწევთ და რომლებიც მსხვერპლში კვერცხებს დებენ. გასაგებია? რაღაც არა მგონია. შეხედეთ: ესაა მარწუხები, ხელსაწყოს ხახაში წვრილი არხია, რომელიც პლასტმასის ფუძეში გადის. "კბენისას" მარწუხები ოდნავ შიგნით იზნიქება, აწვება რეზერვუარს, რომელშიც სპეციალური ლორწოსებური სითხე და კაუჩუკის მინიატურული კვერცხებია, და ისიც შიგთავსს არხში გზავ-

ნის. ასე რომ, როგორც კი წინა ორი მარწუხი ქალის ბოქვენს და ერთიც კურტუმს ჩაესობა, არხი ვაგინაში შედის და კვერცხებს ყრის.

ბრძენი საგანს მექანიკურად მართმევს, ფანჯარასთან მიფრინავს. იატაკს ოდნავ ამცდარი ჰაერში ლივლივებს. კონსტრუქციას დღის შუქზე გულდასმით ამოწმებს, ხელში ატრიალებს. დრო თითქოს ჩერდება. აღარც ბრძენი იძვრის, ჰაერში ძეგლივით ქვავდება. მხოლოდ წყლის კაპაკუპი ისმის საიდანღაც. ბრძენს მხარზე საჩვენებელი თითით ვეხები. ის ვირთხასავით წრიპინებს, აძაგძაგებული იატაკზე ჯდება, როგორც ელექტროშოკით მოცელილი. რძიან თასში წითელი ჟოლო მხიარულად ტივტივებს.

ჩემს თითს ვუყურებ. გაუგებარია, ასე რამ დამუხტა. რატომღაც ძალიან მეზიზღება ჩემი თითი. მექანიკურად სეკატორს ვიღებ, საჩვენებელ თიṭს ძირში ვიჭრი. თითი იატაკზე ვარდება. მძიმედ, როგორც *AA* ბატარეა. ტკივილს ვერ ვგრძნობ, მხოლოდ ჭრილობიდან წამოსული სისხლის სითბოს.

ვიხრები, მინდა მოჭრილი თითი ავიღო, მაგრამ მას იატაკი იწოვს, უცბად მთლიანად ყლაპავს. უფრო ზუსტად, თითქოს თვითონ

თითი შედის იატაკში. ასე უდაბნოს ხვლიკმა იცის, აუტანელი სიცხის დროს "თავს იმარხავს" ხოლმე. მთელი სხეულით ქვიშას მიწევმოწევს და უცბად სრულად იფლობა. რატომლაც მგონია, რომ თითი შეიძლება უკანვე ამოძვრეს. ნახევარ წუთს ვიცდი, მაგრამ ის აღარ ძვრება.

რომ ვტრიალდები, ბრძენი უკვე ტაბურეტზე ზის. კისერზე ძველი ჭრილობის ნაწიბური აქვს. ხელზე მკოცნის, წელზეც მეხვევა, მთელი სხეულით მეკრობა. წინააღმდეგი არ ვარ. იყავნ ნება შენი. მერე ფეხზე დგება და ლოგინისკენ მივყავარ. უნდა დამაწვინოს.

თუმცა მე უკვე დიდი ხანია ვწევარ. ყვითელი და შავზოლებიანი სინთეთიკის სქელი და უხეში პლედი მაფარია. არ მახსოვს, ასე გემრიელად ოდესმე ვწოლილიყავი. მით უფრო, შეზლონგზე. შინდისფერი პრიალა ხის სარეცელია. ორივე მხრიდან განიერი სახელურებით. ლეიბს ჩითისებური რბილი ქსოვილი აქვს გადაკრული. ნახევრად ვწევარ, ნახევრად ვზივარ. ხელები პლედზე მიდევს. ეგაა, რომ ერთი თითი მაკლია და ჭრილობის გარშემოც მოშავო-მოლურჯო ლაქები მემჩნევა. ყველაფერი წესრიგშია. მხოლოდ პლედია

მოკლე, ფეხებს ბოლომდე არ მიფარავს. ჩემი ადიდასები გარეთ იხედება. რის გამოც ბრძენის მრცხვენია. ის ხომ ასეთი თეთრია და ჰაეროვანი, როგორც "რაფაელო".

ბრძენს ვანილის მოტკბო სურნელი ასდის. ნაწიბურიც თითქოს ადევს კისერზე, როგორც ნამცხვარს კრემის ზოლი. შეზლონგთან თავთით მდგარ ღამის ქოთანზე ზის. შარვალი უკვე ჩაუხდია და ფეხებიც ბამბის ნაყინივით ჰაეროვან თეთრ პლუშის ჩუსტებში წაუყრია. თავზე ყვავილების გვირგვინი ადგას. კაცი კი არა, ნამდვილი ზეფირი გეგონება. მამა ზეფირთა და ბეზეს მცხობელთა. ბრძენი მაკვირვებს. იგი როგორღაც ჩემს თვალწინ პატარავდება, თითქოს მას ღამის ქოთანი იწოვს, როგორც მტვერსასრუტი. შეზლონგიდან ვიხრები, ქოთანში ვიყურები. არაფერი ჩანს, სრული სიბნელეა.

თუმცა სიბნელეში თანდათან რაღაც კონტურები იკვეთება: კარადა, თავახდილი როიალი, მინის მაგიდა და მასიური დივანი, რომელზეც ვიღაც წევს. კი არ წევს, თითქოს ნახევრად ჩაფლულია, როგორც ჭაობში.

ტახტისკენ მივდივარ. უცნობს პირდაპირ არ ვუყურებ. მხოლოდ დროდადრო თვალს

ვაპარებ ხოლმე მისკენ. სახე არ უჩანს. თავი მუთაქებში აქვს ჩარგული. რომ ვუახლოვდები, მაშინღა ვხედავ, რომ მარტო ტანსაცმელი აწყვია. ეს ხომ ჩემი ჯინსია. აი, ჩემი ადიდასებიც! უნებურად თვალზე ცრემლი მადგება. არ მეგონა, ასეთი უმნიშვნელო წვრილმანი თუ ამაღელვებდა. *Log in* – ისაა, რაღაცას უნდა მივხვდე, სიტუაციის აბსურდულობამ ჩემს ცნობიერებაში მიყუჩებული, ჩაკეტილი ასოციაცია უნდა გაშალოს, რომ... ჩემს ყურადღებას სხვა რამ იქცევს – *Log out*. თურმე სულ შიშველი ვარ.

აუჩქარებლად ვიცვამ. რაღაცნაირად მომწონს და მეამაყება ჩაცმის პროცესი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საკუთარ მეს ვიბრუნებ. რომელიც არასდროეს მქონია. თუმცა ეს ხომ არაა მთავარი. ვინმემ ბრილიანტი რომ დაგიბრუნოს, ხომ არ ეტყვი, ჩემი არ არისო? იდენტიფიკაციას ახლაღა ვახდენ საკუთარ თავთან. კიდევ მეტი, თითქოს ჩემი ჩაცმულობა განმსაზღვრავს მე.

ისე, ვინ ვარ მე? უბრალოდ კრებითი სახე? ალუზიათა სამონტაჟო? ვირტუალური მეხსიერება? ერთგვარი ტურბულენტური აპარატი – ციტატების ჯაკუზი? სენსიბელური

რიზომა? იქნებ ჩემი საკუთარი ჰალუცინაცია ვარ? ან ჩემივე პიჯაკი? შეუძლია ჩემს პიჯაკს თქვას ჩემზე: *Omnia mea mecum porto*[2]?

დივანზე ვჯდები. სამკლავურზე ვიღაცის ხელჯოხია მოყუდებული. ძვირფასი ნაკეთობა ჩანს. პრიალა შავი ხის ფეხზე ბუნიკად ვერცხლის ბულდოგის თავია წამოცმული. ჯოხს ხელში ვატრიალებ. ჭრილობაზე ცივი ლითონის შეხება მსიამოვნებს. პირდაპირ კედელზე დიდი ზომის ტილო კიდია, რომელზეც ცარიელი პლაჟია გამოსახული. ზღვა ნაპირზე თხელი და ფაქიზი არშიასავითაა გადმოფენილი, როგორც ვალანსიენი. ამ ტრიალში ჯოხი რაღაცნაირად თვალსა და ხელს შუა თხელდება და მოკლდება, როგორც წყალში შუშხუნა ასპირინი. ხელში მარტო რკინის ბუნიკი მრჩება, რომელიც ერთი შეხედვით მოკლელულიან რევოლვერს გავს. სასხლეტიც რბილი და დამყოლია, თითის დაჭერისას იოლად შედის კორპუსში, როგორც ქინძისთავი მარმელადში, და ტყვიის ნაცვლად წყლის წვრილ ნაკადს ისვრის.

როიალის პიუპიტრზე ნოტების ნაცვლად პრიალა ჟურნალია წამოყუდებული, რომლის

[2] ყველაფერი ფასეული ჩემშია (ლათ.).

ყდაზეც მეხუთე ბრძენის პორტრეტია გამოსახული. თეთრ ფრაკში გამოწყობილს პეპელა-ბაბფთა უკეთია. სადღაც სივრცეში ერთ წერტილსაა მიშტერებული. თან თითქოს მეც მაკვირდება თვალის კუთხით. პირზე დამცნავი ღიმილი დასთამაშებს. შუბლზე ვენა მებერება. ვგრძნობ, როგორ პულსირებს. რევოლვერს ვუმიზნებ. წყლის ნაკადი ჟურნალის ყდას ზედა მარცხენა კუთხეში ხვდება.

შეშინებული ბრძენი ჟურნალიდან ხტება, თავს მაესტროსავით მიკრავს და როიალს უჯდება. შემდეგ თავს მანერულად უკან აგდებს, როგორც დაკვრის ექსტაზში გადავარდნილი პიანისტი. რამდენიმე ძლიერ, ისტერიულ აკორდს იღებს. მისი თითები დაძაბულად დახტიან და გრიალებენ კლავიშებზე. წყლის შემდეგი პორცია მხარზე ეწუწება. უფრო სწორად, ტყვიასავით მხარში შესდის. გეგონება, ტორტის ბისკვიტივით ფაფუკი სხეული აქვს. დაჭრილი როიალიდან ოხვრით დგება, თავაწეული ჰოლიდან გადის. ცალი ხელით ყბას იჭერს, სულ რომ არ მოძვრეს. მეორე ხელით კიბის მოაჯირს ეყრდნობა. ზედა სართულისკენ მიემართება. უკან მივყვები. ის ჩვეულებრივი ნაბიჯით ადის. მე რატომღაც

კენგურუსავით დიდი ნახტომების გაკეთება მიწევს, რომ დავეწიო. ჭრილობის გარშემო თეთრ ფრაკზე წითელი ლაქა ეზრდება. ჰაერში მოტკბო-მოჟავო სუნი ტრიალებს. სისხლის ნაცვლად ბრძენს მგონი კეტჩუპი სდის.

იგი უკვე გალერეაშია, ფანჯრების გასწვრის მისეირნობს. ვუსწორდები თუ არა, სამჯერ ზედიზედ კიდევ ვესვრი. ორი პორცია წყალი მუცელში ხვდება. ერთიც ნახევარ ყურს აგლეჯს. ყოველ გასროლაზე იგი ოდნავ ბარბაცებს, მაგრამ წონასწორობას არ კარგავს. მხოლოდ კომიკური გმირივით იმანჭება და თვალებს ატრიალებს. სახეს ხელისგულით მარაოსავით ინიავებს. საძინებელში შედის, ლოგინზე ეცემა.

– ნუთუ ეს ამორალური არაა? – ხროტინით მეკითხება და საბნებისა და ბალიშების ქაოსში იკარგება. პირის კუთხეში კეტჩუპი ებუშტება. სახეში ვესვრი. წითელი ბუშტი სკდება.

საძინებლიდან გავდივარ. ფანჯარასთან ვჩერდები. რაფაზე ტყავის ხელთათმანები დევს. რატომღაც ორივე შუაში გახვრეტილია. თითქოს ვილაც სტიგმატიანს ხელის მტევნებზე ტყავი გააძრეს. გარეთ ვიხედები. სქელ

ნისლში რაღაც კონტურები ძლივს ჩანს. გეგონება, ეზოში დიდი ჭადრაკის დაფა დგას, როგორც ნისლიან კურორტზე, ზედ რამდენიმე ფიგურით. ჩვეულებრივი ენდშპილი. თეთრები: მეფე *C-3*, ეტლი *A-1*, ცხენი *D-5*, პაიკები *B-3*, *C-4*. ერთი სული მაქვს ფანჯრიდან ხელი გადავყო და შავებით სვლა გავაკეთო, ცხენი: *E-6* → *G-5*. ჩემი ხელიც თითქოს რეზინისაა, უსაშველოდ მიგრძელდება... თუმცა ვხვდები, რომ ეს მხოლოდ ფანტომი, ტვინის ერთგვარი ინტელიგიბელური თამაში ან, უფრო ზუსტად, ხილული რემინისცენცია იყო, და არავითარი ჭადრაკის დაფა ახლომახლო არ არის.

ამ დროს ჩემს უკან რაღაც ხმები ისმის. ვტრიალდები. საძინებლიდან მეხუთე ბრძენი მოხოხავს.უუფრო სწორად, რაც მისგან დარჩა. თავის მაგივრად რაღაც საზიზღრობა აქვს, თითქოს სახე ხორცის საკეპ მანქანში გაუტარეს. ყოველი მოძრაობისას აუტანელ ხმებს გამოსცემს. ცოტას კიდევ მოხოხავს და უცბად ერთბაშად ქვავდება. ახლა უკვე სამუდამოდ.

ფანჯრის რაფიდან ხელთათმანებს მექანიკურად ვიღებ, იქვე მდგარ სკამზე ვჯდები, თათმანებს ხელზე ვიცვამ. კიბიდან უკვე ის-

მის ნაბიჯის ხმა. ჯერ მელოტი თავი ჩნდება, შემდეგ მზის სათვალეები და ათასი როლით ნაჩქმეტი თეთრი სახე. მეექვსე ბრძენს ტანზე კარგად მომდგარი შავი კოსტიუმი აცვია. ბებრული ღაბაბი, მოღრეცილი ცხვირი და ოდნავ წინ გამოწეული ყბა აქვს. ხელს ჯიუ-ჯიცუს ოსტატივით მიგრეხს, გასასვლელისკენ მივყავარ. არ ვეწინააღმდეგები.

გარეთ უკვე ბნელა. შადრევნის ბეტონის ყვავილიდან წყალი მოწანწკარებს. ცარიელ ქუჩაში ფეხით მივდივართ. ირგვლივ სულ სახლებია. ყველა რუხი და ერთნაირი. ერთი ქარხნის პროდუქტი გეგონება, ერთ ყალიბში ჩამოსხმული. სახლებს ფასადზე აღნიშნული ნომრების მიხედვით თუღა გაარჩევ ერთმანეთისგან. ძველი საბჭოთა აგარაკები. რეჟიმის ფუნდამენტური იდილია. დროდადრო სადღაც შორიდან მატარებლის გუგუნი და ღრჭიალი ისმის. ალბათ სადღაც აქვე რკინიგზის სადგურია. არ ვიცი, სად მივდივართ. მხოლოდ ვხვდები, რომ სადგურს თანდათან ვუახლოვდებით. შპალების, მაზუთისა და ტექნიკური ზეთის სუნი სულ უფრო მატულობს.

– ტაქსი! – მოულოდნელად ყვირის ბრძენკაცი.

ყვითელი მანქანა დათქმულივით ჩვენს გვერდით ჩერდება, თავზე ანთებული დიაგრამით. ბრძენი უკანა სავარძელზე მითითებს, თვითონ გვერდით მიჯდება. მძღოლს რაღაც ბუნდოვნად ნაცნობ მისამართს ეუბნება. იგი თავს აქნევს და მანქანას რაღაცნაირად ჰაეროვნად ძრავს. გეგონება, მანქანის მარტო წინა განყოფილება მიიწევს წინ, უკანა კი ადგილზე რჩება. ტაქსის სალონი ჩემს თვალწინ გრძელდება და იჭიმება, როგორც ციფრული ფოტოკამერის ზუმიანი ობიექტივი. მალე წინა სავარძლები სულ აღარ ჩანს.

ცარიელ ქუჩებში ნელა მივსრიალებთ. ვითომ საპატიო სტუმარი ვარ და მონდომებული მასპინძლები ძველ ქალაქს მათვალიერებინებენ, დეცენტრიზებული მინიშნებებისა და ციტატების ყურეს. მარტო საათის წიკწიკი ისმის საიდანლაც. მანქანის ფარები ტრასას და ხეების რიგს ანათებს. კიდევ უსასრულო ბორდიურს, საგზაო ნიშნებს, სახლების ფრაგმენტებს, მოციმციმე შუქნიშნებს, ჩამქვრალ ლაით-ბოქსებს, ბილბორდების უწყვეტობას, სარეკლამო ფორმულების ლაბირინთს, დომინანტური სლოგანების დისპერსულობას... ისეთი გრძნობაა, თითქოს ტაქსიში კი არა,

ცარიელი კინოდარბაზის ბოლო რიგში ზიხარ და ეკრანზე სლაიდების პროექციას უყურებ. თან, გეჩვენება, თითქოს ეს ყველაფერი ერთხელ უკვე იყო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვმგზავრობთ. რომ ვჩერდებით, ბრძენი ტაქსიდან ყურით მათრევს. მიტოვებულ მშენებლობაზე ვდგავართ. იგი ადგილს ათვალიერებს, ძველ ჯიხურთან მდგარ ხესთან მივყვარ, ზურგით მაყენებს. შემდეგ პერანგს მიხსნის, რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს, ჯიბიდან გრძელ პეპელა-დანას იღებს, ხელის სწრაფი მოძრაობით ხსნის, როგორც ნუნჩაკუს, და გულში მიმიზნებს.

და აი, სწორედ ამით, ამ სამყაროსავით ძველი ჟესტით, შეცდომაში შედის. ცხადია, თუ იგი ამით სოციალური დინამიკის აუცილებელი ეტაპის დაფიქსირებას ცდილობს. ბევრიც ეცადოს, მთელ ამ სპექტაკლს ვერ გაასაღებს საკურატე კრიზისად. ვერ გაასაღებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, თუ მე კურატი ვარ, მაშინ, გამოდის, იგი ჩემს საკურატე უფლებებს არღვევს, რადგან ჩემი, როგორც კურატის, ამბივალენტურობის პრეზუმპცია ჯერჯერობით არაფრითაა გამყარე-

ბული. რადგან მე უნდა წარმოვადგენდე ისეთ რაღაცას, რაც განადგურებას და თაყვანისცემას ერთდროულად იმსახურებს. თუმცა... შეიძლება, თვითონაც არ იცის, რას აკეთებს.

ბოლოს მაინც მესვრის. თუმცა დანა ჩემამდე არ აღწევს, გზად ჰაერშივე იქნევს ტარებს, როგორც პეპელა ფრთებს, და ცაში მიფრინავს. გასაგებია, რომ პეპლად დანა თვითონ ბრძენმა გადააქცია. ეს რაღა ფოკუსებია! აი, თურმე როგორი საცირკო ნომრებით ცდილობს იგი ძალადობის უარყოფითი შედეგის გამოსწორებას: თვისების შეცვლით. ვხვდები, რომ სწორედ ახლა შემიძლია გავიქცე. შევეცადო მაინც. მაგრამ ამ წუთს ჩემთვის ყველაფერი სულერთია. მთვარეს ვუყურებ... და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მე ჯერ კიდევ მაქვს შანსი მაღალი დონის ბულალტერი გავხდე. ან ნობელის პრემია ავიღო ლიტერატურის დარგში, რამე ყლეობის გამო. შანსი ყოველთვის არის. უკუნითი უკუნისამდე.

უცბად ჯიხურის ფანჯარა იღება. საიდანაც აყროლებული ქვეშაგების და ხრწნის სუნი მოდის. ვილაც იხედება. სახე არ უჩანს. სიბნელიდან მხოლოდ გრძელ ხელს იშვერს. მე მიწვდის? ვინაა იგი? ჩემი ნაცნობია? უბრალოდ

კეთილი ადამიანი? იქნებ იგია ყველაფრის თავი? იქნებ იგია, ვინც თითის ერთი მოძრაობით ჩემს საკურატე ამბივალენტურობის პრეზუმპციას გაამყარებს? ხელი კანკალებს, თითქოს უხილავ ბალალაიკაზე უკრავს. უცნობის საჩვენებელი თითი ძალიან მაგონებს ჩემს მოჭრილს თითს, და, შესაბამისად, *AA* ბატარეას. მეექვსე ბრძენი დაბნეული ჩანს. მე მესმის მისი.

ჯიხურში შევდივარ. შიგნით არავინაა. მხოლოდ ფანჯარასთან ჩართული, ფეხებიანი ტელევიზორი დგას. ეკრანზე ერთადერთი კადრია: ნაპირზე ამოგდებული თევზი უმწეოდ ყლაპავს პირით ჰაერს. შემდეგ არხები თავისით ირთვება. კადრები ერთმანეთს ცვლის. ვხედავ ახალშობილის ჭყივილით დაჭმუჭნილ წითელ სახეს... ვხედავ ხალხით გაჭედილ მეტროში მდგარი შაჰიდის გაქვავებულ თვალებს... ნარკომანის დაძაბულ მზერას, როგორ შეყავს ვენაში ინსულინის შპრიცით ჰეროინი... სვეტზე დაყუდებულ და მარხვით გალეულ ბერს... ხის ჩრდილში მუხლმოყრილი სამურაის არაფრისმთქმელ გამომეტყველებას, ჰარაკირის გაკეთების წინ... კომპიუტერთან გათიშულ ბიჭუნას, რომელიც თა-

ვით ფეხებამდე რაღაც თამაშშია ჩართული... კედელს მიყუდებული მღვდლის ნეტარ სახეს, რომელსაც მეორე მღვდელი მინეტს უკეთ-ებს... ჩამოვარდნილ თვითმფრინავში ჩამწვარ სხეულებს... დისკოთეკაზე მხტუნავი კაცის ექსტაზით მოქცეულ ყბას... ჩიტების თავებს და ცხოველთა სიფათებს... ხოჭოთა ურდო-ებს და კალიების ლეგიონს... ჰელიოგრაფულ და სელენოცენტრულ კოორდინატებს... ცხრა ხელის ბეჭედს, კუძი-ინის და კუძი-კირის... ხორცდამჭლევებულ ასკეტს და თავზე ფეხებ-შემოწყობილ იოგს... ოპტიკურ-ბოჭკოვან კა-ბელში გარბენილ სიგნალს... ბოდიბილდერებს და იმპოტენტებს... კომპლექსური ციფრის მოდულებს... გოგონას აფაკლულ ლოყებს, რომელმაც ეს-ესაა ქალიშვილობა თვითონ-ვე დაიკარგა ვიბრატორით... ვარდობისთ-ვეში ვარდებსაც ვხედავ... და დილით გაზზე შედგმულ რძეს ვხედავ... დიჯეებს, გეებს, მი-კრობებს ვხედავ... კიბერპანკებს და გიჟებს ვხედავ... ნელა კვდომას და ნელა ხრწნას ვხე-დავ... მილეულ მთვარეს და დაისს ვხედავ... მოკლული კატის ზოლებსაც ვხედავ... ზო-გსაც სულელს და ზოგსაც ბრძენს ვხედავ... სესილის ქერა ნაწნავებს ვხედავ... ფულის

ფლანგვას და ფულის ჭრას ვხედავ... პროცესორებს და სენსორებს ვხედავ... ცელულიტიან ქალებსაც ვხედავ... ბავშვის ჩასახვას და აბორტს ვხედავ... ნერვულ სისტემას და ატომს ვხედავ... ვხედავ აზრებს. როგორ უყვართ და სძულთ მათ ერთმანეთი. როგორ ეხმარებიან, როგორ ანადგურებენ და თავიდან ბადებენ ერთმანეთს: თავისი თავის იგივეობრივს, მაგრამ განახლებულს და აღორძინებულს. ხელახლა ქმნიან თავისთავს, რომ ერთმანეთში გადავიდნენ, გადაიღვარონ, გამეორდნენ, დარემიქსდნენ. და ამ ყველაფერს მუდმივად და უცვლელად თავს ადგას რაღაც ჩუმი და უსხეულო, თითქოს ფერადი ნაპერწკლებისა და ნაოჭებისგან ნაქსოვი ცისარტყელა.

მხოლოდ ახლა ვარჩევ, რომ ტელევიზორია როგორც მზე, და მისი ფეხები, როგორც ცეცხლის სვეტები. იგი მთლიანად ღრუბლებითაა შემოსილი, თავზე ცისარტყელით. მარჯვენა ფეხი ზღვაზე უდგას, ხოლო მარცხენა – მიწაზე.

ამ დროს კარი მკვეთრად იღება და ჯიხურში მეექვსე ბრძენი შემორბის. გზად კედელზე კლავიშს თითს აჭერს, ოთახში შუქს რთავს. სინათლე წამით მაბრმავებს.

თეთრი შპალერის თავზე კედლებს ცისფერი ზოლი გასდევს, რომელზეც რომელიღაც მულტფილმიდან ნასესხები წითელი მელია და თეთრი ბატი ხატია. მელია ბატს მისდევს, და ასე, ორმოცდარვაჯერ მთელი ოთახის გარშემო. ეტაჟერზე რამდენიმე ბრტყელი ნეცკე, პაზლის ყუთი და მინიატურული ბილიარდი დევს, თავისი პატარა დანომრილი ფერადი ბურთებით, პირამიდითა და ორი ასანთის ღერის სისხო კიით. ცისარტყელას ვუტრიალდები, მაგრამ ის აღარსად ჩანს, იატაკზე მხოლოდ ბენზინის ძველი კანისტრა დგას, რომელიც ჟონავს.

კარადის უკნიდან მეშვიდე ბრძენი გამოდის. დიდი თეთრი პირსახოცი ტანზე რომაული ტოგასავით აქვს მოგდებული – მარცხენა მხარზე შემოხვეული ზურგზე ისე გადადის, რომ უკან ხშირ ნაკეცებად კიდია. ბრძენკაცი ერთთავად გაოფლილია, თითქოს ეს-ესაა აბაზანიდან გამოვიდა. სველი თმა უკან გადაულესია. ხელში დისტანციური მართვის პულტი უჭირავს. თურმე იგი რთავდა ცოტა ხნის წინ ტელევიზორის არხებს.

– სუფთა ნამუშევარია, – მეექვსე ბრძენი ეუბნება.

ვერ ვხდები, რას გულისხმობს. სამაგიეროდ მეშვიდე ხვდება. კომუნიკაციის ექსტაზი. იგი პულტს მიშვერს და მიბრძანებს:

– გააჯვი!

პულტის ღილაკს საჩვენებელ თითს აჭერს და მაშინვე ყველაფერი ქრება.

თარგმანი

ინგლისურად თარგმნა **დათო აკრიანმა** ორენოვანი გამოცემა	ქართული პოეზია
იუსტაინ გორდერ თარგმნა დათო აკრიანმა	„ფორთოხლის გოგონა“
მორის მეტერლინკი ფრანგულიდან თარგმნა დათო აკრიანმა	პიესები I-II ტომი
გაბრიელ გარსია მარკესი ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა	„მარტოობის ასი წელიწადი“ „პატრიარქის შემოდგომა“ (2007 პრემია „გალა“) „ჩემი ნაღვლიანი მეძავები გახსენება“ „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“
ჯორჯ ორუელი ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა	„1984“ „ცხოველების ფერმა“
კრებული	**P. S. Literature**
მიგელ დე უნამუნო ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ	„სიყვარული და პედაგოგიკა“ „აბელ სანჩესი“
ჯეიმზ ჯოისი ინგლისურიდან თარგმნა ლია იმერლიშვილმა	„დუბლინელები“
ჰარი ნიუკანენი ფინურიდან თარგმნა დიმიტრი გოგოლაშვილმა	„რაიდისა და ბიჭის ამბავი“
კარი ჰოტაკაინენი ფინურიდან თარგმნა დიმიტრი გოგოლაშვილმა	„სანგრის ქუჩა“
ანდრაშ პეტეცი უნგრულიდან თარგმნა დალილა ბედიანიძემ	„დაბადების დღე“
რომულო გალიეგოსი ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა	„დონია ბარბარა“

მარიო ბენედეტი „მადლობა ცეცხლისათვის“
ესპანურიდან თარგმნა ელზა
ახვლედიანმა „სულის მოთქმა“



პიესები

ლაშა ბულაძე „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“
(2007 პრემია „საბა“)

ირაკლი კაკაბაძე „კანდიდატი ჯოყოლა“

ბასა ჯანიკაშვილი „სანამერთმანეთს
გავიცნობდით“ (2006 პრემია „საბა“)
„სულიკო“

გიგი თევზაძე „აქ და ყველგან“

პროზა

ზაზა ბურჭულაძე „ხსნადი კაფკა “
„მინერალური ჯაზი“

**დავით-დეფი
გოგიბედაშვილი** „ჩემმა ტყუპისცალმა
მიპოვნოს“

ლევან ვასაძე „დღიური ათონის მოლოცვისა“

ირმა ტაველიძე „ავტობიოგრაფია ფრანგულად“

ირაკლი კაკაბაძე „თანაგრძნობის სიმღერა“

ბესო ხვედელიძე „ესტაფეტა“

დავით ჩიხლაძე `Feminine/Feminine~

პოეზია

კრებული	„ვარდისფერი ავტობუსი“
რატი ამაღლობელი	„წრე“ (2006 პრემია „საბა“)
დავით-დეფი	„ზურმუხტი და საფირონი“
გოგიბედაშვილი	„და“
	„ცა“
	„იქ“
შოთა იათაშვილი	„სანამ დროა“ (2007 პრემია „საბა“)
ზურაბ რთველიაშვილი	„ანარქი“
ლელა სამნიაშვილი	„მუდმივი ტატუ“
დავით როგაძიძე	„რას ნიშნავს ადამიანი“
გიორგი მირზაშვილი	„ლექსები“
დავით ჩიხლაძე	„დეკემბრის ღამეები“
დიანა ანფიმიადი	„შოკოლადი“
ნათია ნაცვლიშვილი	„პირიქით“ (2007 პრემია „წერო“)

სიესტა

გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27
ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge
www.siestagroup.ge